ქვეპროგრამის აღწერა	ლამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლოატაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. საჩხერეში (ქუჩები, მოედნები, პარკები, სკვერები) და 7 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში, საუბნო გზებზე), გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 18%. 2023 წელს იგეგმება ქ. საჩხერეში გარე განათების ქსელის გაფართოება და მუნიციპალიტეტის მაშტაბით გარე-განათების გეგმიური მომსახურების სარემონტო სამუშაოები. -დოსითეოს/წერეთლის ქუჩაზე გარეგანათების მოწყობა. -ქ. საჩხერეში გარე - განათების რეაბილიტაცია.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 6 - ხელმისაწვდომი და მდგრადი ენერგია	გენდერული	დიახ
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანი: ღამის პერიოდში განათებული საჩხერის მუნიციპალიტეტი, ღამის საათებში მოსახლეობის, განსაკუთრებით ქალების, ბავშვების, ხანდაზმულ და შშმ პირთა კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება. შედეგი 1: მოწყობილი განათების ახალი ქსელები, განახლებული სადენები, გარე განათების წერტილების რაოდენობა. მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 03 02		752,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „ზურმუხტი“		
ქვეპროგრამის აღწერა	ღამის საათებში მოსახლეობის, განსაკუთრებით ქალების, ბავშვების, ხანდაზმულ და შშმ პირთა კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის მნიშვნელოვანია გარე-განათების სისტემის მოწყობა და მისი გამართული ფუნქციონირება, პროგრამა ითვალისწინებს საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარეგანათების ორგანიზებასა და სრულყოფილ ფუნქციონირებას, კერძოდ: ქუჩების, სკვერების, ბაღების (დასასვენების პარკები), სატრანსპორტო და საფეხმავლო ხიდეების განათების ქსელის მოვლასა და ექსპლუატაციას. ასევე მუნიციპალიტეტის სოფლების: სხვიტორის, ჩიხის, პერევის, სავანის, არგვეთის, ჭორვილის, კალვათის, ივანწმინდის, საირხის, მერჯევის მიმართულებით ცენტრალური გზებისა და გომი-საჩხერე-ჭიათურის გზის საჩხერის მონაკვეთზე განლაგებული გარეგანათების ქსელის მოვლა-ექსპლუატაციას.		



	-სპეციალური ამწე კალათიანი ავტომანქანის შესყიდვა.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი -15 ხელმისაწვდომი და მდგრადი ენერგია	გენდერული	დიახ
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანი: ღამის პერიოდში განათებული საჩხერის მუნიციპალიტეტი. შედეგი 1: მოწყობილი და გამართული გარე-განათების ქსელი, მოსახლეობისათვის, განსაკუთრებით (ქალების, ბავშვების, ხანდაზმულ და შშმ პირთა) ღამის საათებში უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სასაფლაოების მოვლა-პატრონობა	დაფინანსება ათას ლარში
	02 04 01		30,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში იგეგმება მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული სასაფლაოების შემოღობვის სამუშაოები კერძოდ: არგვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლებში სასაფლაოების შემოღობვა და სხვა. გამოღმა არგვეთში სასაფლაოს ტერიტორიაზე ბილიკების მოწყობა.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანი: დაცული სასაფლაოები. შედეგი 1: დაცული არსებული სასაფლაოები დაზიანებისა და დაბინძურებისაგან. სასაფლაოების მოვლა-პატრონობით გაუმჯობესებული მოსახლეობის ხელმისაწვდომობა და გაზრდილი კმაყოფილების დონე.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სკვერების მოწყობა და მომსახურება	დაფინანსება ათას ლარში
	02 04 02		1630,8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქ. საჩხერეში არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა. ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების მოწყობა, იმ ტერიტორიაზე რომელიც წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებას. მნიშვნელოვანია მოსახლეობისა და გართობისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა, სადაც გათვალისწინებული იქნება შშმ პირთა, საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა, ბავშვების, ქალების და კაცების საჭიროებები. ქვეპროგრამით განხორციელდება: ჩიხის ადმინისტრაციულ ერთეულში სკვერი მოწყობა; სოფელ გორისის ცენტრში არსებულ სკვერში ტრენაჟორების მოწყობა; სოფელ გამოღმა არგვეთში თურმანიძეების უბანში სკვერის მოწყობა და არსებული წყაროს რეკონსტრუქცია; ჯალაღორთის ადმინისტრაციულ ერთეულში სკვერების კეთილმოწყობა; ქ. საჩხერეში დასასვენებელი სივრცეების სკვერების მოწყობა და სხვა. -საქალაქო პარკში კამერების შესყიდვა მონტაჟი. -სოფელ საირხეში ლაშხები-ჭილაძეების უბანში, საბავშვო სკვერში ბავშვთა გასართობი ატრაქციონის (სასრიאלო) მონტაჟი.		



გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 10 -შემცირებული უთანასწორობა	გენდერული	დიახ
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი 11 -მდგრადი ქალაქები და დასახლებები ქვეპროგრამის მიზანი: დასასვენებელი და გასართობი სივრცის შექმნა ქალაქის ტერიტორიაზე, ტურიზმის მომსახურების სფეროს ხელშეწყობა, მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესება. შედეგი 1: მოწყობილი ახალი სივრცეები მოსახლეობის -ყველა ასაკის ბავშვების (ბიჭები და გოგონები), ხანდაზმულების, შშმ პირების როგორც ქალების ასევე კაცების დასვენებისა და გართობისათვის.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ქალაქის კეთილმოწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	02 04 03		2472,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საჩხერის ცენტრალურ ქუჩებში ღობეების კეთილმოწყობა, იერსახის განახლება, ასევე მრავალბინიანი კორპუსების ფასადების რეაბილიტაცია. დაგეგმილია საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, ასევე ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების მოვლა პატრონობა შშმ პირთათვის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ობიექტების ადაპტირება. ქვეპროგრამით გათვალისწინებულია: ქ. საჩხერეში ფანჩატურების მოწყობა; ქ. საჩხერეში, ცენტრალურ უბნებში ფასადების, ქუჩების ღობეების რეაბილიტაცია და სხვა.		
	-ქალაქ საჩხერეში, თავისუფლებისა და მუხრან მაჭავარიანის ქუჩების ტროტუარებისა და ღობეების მოწყობის პროექტის განსახორციელება.		
	-ქ. საჩხერეში, ციხე მოდინახისკენ მიმავალ გზაზე შლაგბაუმისა და პირუტყვის საწინააღმდეგო ბარიერის მოწყობა.		
	რგპფ -ქ. საჩხერეში მერაბ კოსტავას - მ. მაჭავარიანის და თამარ მეფის ქუჩების ფასადებისა და ღობეების კეთილმოწყობის სამუშაოები.		
	-ქ. საჩხერეში, ციხე მოდინახეზე სკვერის მიმდებარედ სველი წერტილისა და ფანჩატურის მოწყობა.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	-ქ. საჩხერეში, ციხე მოდინახეზე სკვერის მიმდებარედ ტუალეტისა და ფანჩატურის მოწყობა, ციხე მოდინახისკენ მიმავალ გზაზე შლაგბაუმისა და პირუტყვის საწინააღმდეგო ბარიერის მოწყობა; ეროვნული დროშის მონტაჟის სამუშაოები.		
	ქვეპროგრამის მიზანი: გაუმჯობესებული მუნიციპალიტეტის იერსახე, ტურიზმის მომსახურების სფეროს ხელშეწყობა. შედეგი 1 : ცენტრალურ ქუჩებზე ფასადებისა და ღობეების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებით გაუმჯობესებული ქალაქ საჩხერის იერსახე.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ბინათმშენებლობა	დაფინანსება ათას ლარში
	02 05		279,3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური		



ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება: რგპ - ქ. საჩხერეში, ცენტრალურ უბნებში ფასადებისა და ქუჩების რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი). -ქ. საჩხერეში, ლიფტების რეაბილიტაცია.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანი: გაუმჯობესებული მუნიციპალიტეტის იერსახე. შედეგი 1 : ცენტრალურ ქუჩებზე ფასადებისა და ქუჩების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებით გაუმჯობესებული ქალაქ საჩხერის იერსახე.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მდინარის ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 06		1608,7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მდინარის ნაპირსამაგრი ნაგებობები. -სოფელ ხვანში, ვაჟა შუბითიძის სახლთან გაბიონის მოწყობა; სოფელ დურევში, მდინარე დურეულაზე ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობა; სოფელ იტავაზაში მდინარე იზვარაზე ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობა; ქ. საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი დეღე საირხულასა და მერჯულას შემკრები საწისქვილე არხის გაწმენდა და ნაპირსამაგრი სამუშაო.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანი: მოწყობილი მდინარის დამცავი ჯებირი. შედეგი 1 : უსაფრთხო გარემო მდინარის ადიდების შემთხვევაში.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტები	დაფინანსება ათას ლარში
	02 07		1515,4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური		
	ქვეპროგრამა ითვალისწინებს უბნებში დასასვენებელი ფანჩატურების, საავტომობილო გზებზე მოსაცდელის; ადმინისტრაციული შენობებისა და სარიტუალო დარბაზების კეთილმოწყობას, ასევე ადმინისტრაციული შენობებისა და ბიბლიოთეკების სარემონტო სამუშაოებს. ქვეპროგრამით გათვალისწინებულია: ჩიხის ადმინისტრაციულ ერთეულში ფანჩატურის მოწყობა; ჩიხის ადმინისტრაციულ ერთეულში მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა; არგვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლებში ფანჩატურების მოწყობა; არგვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლებში სარიტუალო დარბაზების კეთილმოწყობა; ქორეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ფანჩატურების მოწყობა; სოფელ ქორეთსა და კალვათაში ცენტრალური მოსაცდელის რეაბილიტაცია; და სხვა. -სოფელ ბახიოთში და დურევში სარიტუალო დარბაზებში ინვენტარის შესყიდვა; სოფელი სპეთში, გაზის მილის დემონტაჟი /მონტაჟი; სოფელ ხვანში სარიტუალო დარბაზის დემონტაჟი. -სოფელ ჭურნალის სასაფლაოს შიდა ტერიტორიაზე კეთილმოწყობის სამუშაოები; სოფელ გამოდმა არგვეთში სასაფლაოზე საცალფეხო ბილიკის მოწყობა; სოფელ ჯალაურთაში შიდა საუბნო გზების მოხრეშვა; სოფელ ჩიხაში სასაფლაოსკენ მისასვლელი გზის რეაბილიტაცია; სოფელ ქვედა ორდულში სასაფლაოს შემოღობვა; სოფელ ჭალოვანში ოთაშვილებისა და ლომსაძეების უბანში სასაფლაოების შემოღობვა; სოფელ ვაკისაში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია; სოფელ შომახეთში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია; სოფელ კორბოულში		

ქვეროგრამის აღწერა	შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია; სოფელ პერევეში მინი სპორტული მოედნის მოწყობა; სოფელ ჯრიის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა; სოფელ დარყაში შიდა საუბნო გზების მოწყობა; სოფელ სპეთში სკოლის მიმდებარედ სპორტული მოედნის მოწყობის გაგძელება; სოფელ ჭალის ცენტრალურ გზაზე გარე განათების მოწყობა; სოფელ დრბოში საუბნო გზაზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ ღონაში სასაფლაოსკენ მისასვლელი გზების მოწყობა; სოფელ საკობიაში საუბნო გზაზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ ივანწმინდაში დეკანოიძეების უბანში გზაზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ მერჯვეში კაპანაძეების უბნის მიმდებარედ, სასფლაოსკენ მიმავალ, გზაზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ გამოდმა არგვეთში თურმანიძეების წყაროსა მიდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა; სოფელ გორისის ცენტრში, სკვერში სპორტული ტრენაჟორების მოწყობა; სოფელ ქორეთის ცენტრში მინი სპორტული მოედნის მოწყობა; სოფელ კალვათაში სპორტული მოედნითვის ადგილის შემოღობვა (კაპანაძეების უბანში); სოფელ საირხეში ლაშხები-ჭიღლაძეების უბანში საბავშვო სკვერის მოწყობა; სოფელ საირხეში მაჭარაშვილების უბანში სდადიონის მოწყობა; სოფელ ჭორვილაში ცენტრალურ გზაზე გარე განათების მოწყობა; სოფელ მოძვში გზის მიმდებარედ ბეტონის სანიაღვრე არხების მოწყობა; სოფელ მოხვაში წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია; სოფელ მოხვაში ფანჩატურის შემოღობვა; სოფელ ცხომარეთში წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია; სოფელ ქვემოხევში საავტომობილო გზის გასწვრივ დამცავი ბარიერების მოწყობა; სოფელ ბაჯითის ცენტრალურ გზაზე გარე - განათების მოწყობის გაგრძელება; სოფელ სარეკში ჭიღლაძეები-კუტალაძეების უბანში გარე - განათების მოწყობა; სოფელ სარეკში აბჟანდაძეებისა და კუპატაძეების უბანში ფანჩატურის მოწყობა; სოფელ ზედა ორლულში სასაფლაოსკენ მისასვლელი გზისა და მიმდებარედ ფანჩატურის მოწყობა; სოფელ სხვიტორში საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა; სოფელ დუნთაში ორი უბნის შემაერთებელი გზის მოწყობა; სოფელ ხვანში სასაფლაოსკენ მისასვლელი გზის მოწყობის გაგრძელება; სოფელ ლიჩში სასაფლაოს მიმდებარე კეთილმოწყობის სამუშაოები; სოფელ ლიჩში წისქვილის რეაბილიტაციის გაგრძელება; სოფელ ღოდორას სასაფლაომდე წყლის მიყვანა და განათების მოწყობა; სოფელ ნიგვზარაში სასაფლაომდე მისასვლელ გზაზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ კორბოულში ძლევის დასახლებაში დასავენებელი სივრცის მოწყობა; სოფელ ბახიოთში ზედა ბუსხრიკიძეების უბანში რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ შალაურში გარე - განათების მოწყობა; სოფელ მახათაურში გარე - განათების მოწყობა; სოფელ ცხამში საუბანო გზაზე (ლაშეს უბანი) რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა; სოფელ დურევში ფანჩატურის მოწყობა; სოფელ იტავაზაში სკვერის მოწყობა; სოფელ არგვეთში მაჭავარიანების უბანში რკინა-ბეტონის გზის მოწყობა; სოფელ სავანის ცენტრალურ გზაზე სანიაღვრე არხის მოწყობა; სოფელ იცქისის შიდა საუბნო გზებზე გარე-განათების მოწყობის დასრულება; -სოფელ ქორეთსა და კალვათაში ცენტრალური მოსაცდელების რეაბილიტაცია; არგვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლებში ფანჩატურების მოწყობა.
ქვეროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეროგრამის მიზანი: სოფლის კატეგორიის დასახლებების კავშირის გაძლიერება ურბანულ დასახლებებთან და მათთვის საჭირო ხარისხიანი მომსახურების ადგილზე მიწოდება. სოფლის კატეგორიის დასახლებებში მაცხოვრებელი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება. შედეგი 1: მუნიციპალიტეტის სოფლებში გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა, გაზრდილი სოფლის მოსახლეობის ხელმისაწვდომობა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა	დაფინანსება ათას ლარში
	02 08		328,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოების მოწყობის მიზნით საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განახლება-განვითარების კუთხით ხარისხიანი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა. შედეგი 1. სრულყოფილი დოკუმენტაციის მოწოდება.		

	კოდი	დაფინანსება
--	------	-------------



ქვეპროგრამის დასახელება		სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა	ათას ლარში
	02 09		589,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ამ პროგრამით ხორციელდება ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოების დოკუმენტაციის ინსპექტირების ანგარიშის და სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების შესყიდვა.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანი: ხარისხიანად შესრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები. შედეგი 1. ხარისხიანი სამშენებლო სამუშაოები.		

მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1452,4 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	დასახელება	2023 წლის გეგმა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1,452.4
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1,189.8
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	247.6
03 03	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	15.0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	დაფინანსება ათას ლარში
	03 01		1189,8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „ზურმუხტი“		
	საჩხერის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. ამ მიზნით ა(ა)იპ „ზურმუხტი“ მუნიციპალიტეტიდან გადაეცა ნაგავმეპრები კონტეინერები და 5 ერთეული ნაგავმზიდი სპეცმანქანა. პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ „ზურმუხტი“ ახორციელებს ყოველდღიურად (გარდა კვირისა) 105 000 კვ/მ. საჩხერის მუნიციპალიტეტის ქუჩებისა და სკვერების დასუფთავებას. აქედან: თავისუფლების ქუჩის, ავტოსადგურისა და აგრარული ბაზრის მიმდებარე ტერიტორიის 15 000 კვ/მ-ის დასუფთავება ხორციელდება ყოველდღიურად (დღეში ორჯერ). ქალაქის ყველა მოასფალტებული ქუჩის, ტროტუარის, ჩიხის, სანიაღვრე არხის დასუფთავება საჭიროებისამებრ 50 000 კვ/მ., გომი-საჩხერე-ჭიათურა-ზესტაფონის საავტომობილო გზის საჩხერის მონაკვეთზე ნარჩენების შეგროვება საჭიროებისამებრ საშუალოდ 15 000 კვ/მ., ზამთრის სეზონზე საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება ტროტუარების თოვლის საფარისაგან გაწმენდა საშუალოდ 150 000 კვ/მ, ასევე ა(ა)იპ „ზურმუხტი“ ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება-გატანას, რომელსაც ყოველდღიურად ემსახურება 5 ერთეული ნაგავმზიდი სპეც/ავტომანქანა. სამუშაოები ხორციელდება		



ქვეპროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებში: სარეკის, ბაჯითის, ქვემოხევის, მოხვის, ცხომარეთის, უზუნთის, გაღმა მთის, ქორეთის, პასიეთის, სხვიტორის, კვერეთის, გორისის, გამოღმა არგვეთის, ივანწმინდის, მერჯევის, არგვეთის, სავანის, იცქისის, მახათაურის, შალაურის, ბახიოთის, იტავაზის, დურევის, ცხამის, ზედა და ქვედა ორდულის, ჩიხის, დუნთის, ჭორვილის, საირხის, კალვათის, მოძვის ჯალაურთის, ჭალის, პერევის, ღონის, სპეთის, ჭურნალის, იფხორის, კორბოლის, შომახეთის, ნიგვზარის, ხვანის, ჭალოვანის, ლიჩის, ღოდორის საუბნო გზების პირზე დაგროვილი და სპეციალურ ბუნკერებში შეგროვებული საყოფაცხოვრებო ნარჩენის გატანა არანაკლებ კვირაში ორჯერ. ქ. საჩხერის ცენტრალურ ქუჩებზე: ივ. გომართლის ქუჩა-აგრარული ბაზრის მიმდებარე ტერიტორია, ცენტრალური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია, მ. კოსტავას ქუჩა-რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია, საავტომობილო და საცალფეხო ხიდების მიმდებარე ტერიტორია, თავისუფლების ქუჩიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა ყოველდღიურად დღეში სამჯერ. ნაგვის ბუნკერები იდგება უბნებში ქალების, მამაკაცების, ხანდაზმულების, შშმ პირების მოთხოვნათა შესაბამისად. გომი-საჩხერე-ჭიათურის გზის საჩხერის მონაკვეთზე შეგროვებული და ნაგვის ბუნკერებში დაგროვებული ნაგვის გატანა კვირაში ორჯერ. სანიაღვრე არხებიდან ამოღებული ნარჩენების გატანა საჭიროებისამებრ. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებულია 596 ნაგავშემკრები ურნა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად ნაგავსაყრელზე გადის 300-350 კუბური მეტრი საყოფაცხოვრებო ნარჩენი, სპეცავტომანქანებს უტარდებათ გამორეცხვა-დეზინფექცია ყოველდღიურად და ნაგავშემკრებ ურნებს კვირაში ერთხელ. აღნიშნულ საქმიანობას ემსახურება 77 თანამშრომელი, მათ შორის ადმინისტრაციული და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პერსონალი (სპეციალისტები, მეეზოვეები, მძღოლები, მტვირთავები). -მეორადი თვითმცლელი ავტოსატრანსპორტო საშუალების შესაძენა.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	საჩხერის მუნიციპალიტეტის დასუფთავებული ქუჩები, გაზონები, ტროტუარები, სკვერები. შექმნილი სუფთა გარემო. სამსახურის შეუფერხებელი საქმიანობა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	დაფინანსება ათას ლარში
	03 02		247.6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „ზურმუხტი“		
ქვეპროგრამის აღწერა	საჩხერის მუნიციპალიტეტში გამწვანების ღონისძიების განხორციელება მნიშველოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. პროგრამით ხორციელდება: სკვერების, გაზონების, ბაღების (დასვენების პარკების) მოვლა-პატრონობა, სატრანსპორტო მაგისტრალური გზის პირების მწვანე საფარის გაკრეჭვა-გადაბეღვა, მწვანე ნარგავების განაშენიანება და მოვლა-პატრონობა, მუნიციპალიტეტის სხვა ტერიტორიებზე ხეების გადაბეღვა, გამხმარ და ნახევრად გამხმარ ხეებზე საჭიროების შესაბამისი ღონისძიებების გატარება. აღნიშნული საქმიანობა ხორციელდება ა(ა)იპ „ზურმუხტი“-ს მიერ თანამედროვე ტექნიკით (1 ერთეული - ბენზო საკრეჭი მანქანა, 4 ერთეული - ბენზო ცელი, 2 ერთეული - ბენზო ხერხი), ტარდება საგაზაფხულო მიწის სამუშაოები (საჭირო სამეურნეო იარაღებით), ინტენსიურად ტარდება მწვანე საფარისა და ნარგავების მორწყვა (მწვანე საფარის შენარჩუნება), საჭირო შხამ-ქიმიკატებით დამუშავება 2 ერთეული შესაფრქვევი აპარატით. ხორციელდება: ქალაქის ქუჩების კეთილმოწყობის სამუშაოები. კერძოდ: სკვერებისა და ხიდების მოაჯირების შეღებვა. საჭიროებისამებრ ხორციელდება სანიაღვრე არხების გაწმენდა, განყოფილებაში დასაქმებულია 16 სპეციალისტი, განყოფილებაზე მიმაგრებულია სპეც. ტექნიკა - ბორბლებიანი ექსკავატორი.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დარგული და მოვლილი ნარგავები, გამწვანებული სკვერები, მოსახლეობისთვის შექმნილი დასასვენებელი გარემო.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	03 03		15,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „ზურმუხტი“		



ქვეპროგრამის აღწერა	შესაბამის ლიცენზირებულ ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებით ხორციელდება უსახლკარო ცხოველთა იზოლირება ჰუმანური/უმტკივნეულო მეთოდით ლასოთი/ბადით, დეჰელმენტიზაცია (დამუშავება ჭიებზე, პარაზიტებზე), სტერილიზაცია/კასტრაცია, ანტირეპროდუქციული და კომპლექსური ვაქცინაცია, იდენტიფიკაცია (სპეციალური ცხოველისათვის განკუთვნილი ქარხნული დანომრილი საჭდით, ბირკით), თითოეული მონაცემის ასახვა სარეგისტრაციო შესაბამის ბლანკში და ყველა სხვა პროცედურის შესრულება, რაც საჭიროა ამ სფეროში არსებული ნორმებითა და დამკვიდრებული საუკეთესო პრაქტიკით. გაყვანილი ძაღლები ბრუნდებიან უკან ბუნებრივ არეალში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	უსახლკარო ცხოველთა იზოლირება ქუჩებისა და სკვერებისაგან, მოსახლეობის დაცვა უპატრონო ცხოველთა მხრიდან მოსალოდნელი აგრესიული ქმედებებისაგან. მოვლილი უსახლკარო ცხოველები და დაცული მოსახლეობა.

მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 5486,7 ათასი ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	დასახელება	2023 წლის გეგმა
04 00	განათლება	5,486.7
04 01	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირება	3,505.6
04 02	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	1,242.2
04 03	განათლების დაწესებულების ხელშეწყობა	276.7
04 04	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა რეაბილიტაცია	462.2

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირება	დაფინანსება ათას ლარში
	04 01		3505,6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი		
ქვეპროგრამის აღწერა	სააღმზრდელო ჯგუფებში ბავშვები -გოგოები და ბიჭები განაწილებული არიან ასაკობრივი კატეგორიების შესაბამისად, საგანმანათლებლო გარემო აღჭურვილია განვითარებისთვის აუცილებელი მასალით და ინვენტარით. საბავშვო ბაღების ტერიტორია უსაფრთხოა აღსაზრდელებისთვის და თანამშრომლებისათვის, ეზო და შენობები ადაპტირებულია შშმ პირებისათვის, პერსონალი ფლობს საჭირო უნარ-ჩვევებს, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უზრუნველყოფილია საჭირო ინვენტარით და ცენტრალური გათბობით. სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის ხარისხიანი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო სერვისების მიწოდება არის ის უმთავრესი მიზანი, რასაც საჩხერის მუნიციპალიტეტში 23 საბავშვო ბაღის ათეულობით თანამშრომელი ემსახურება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ 2016 წელს მიღებული კანონი სკოლამდელი აღზრდა-განათლების შესახებ და შესაბამისი სტანდარტები სრულყოფილად ძალაში არ არის შესული, ქვეპროგრამის რესურსი შესაძლებლობას იძლევა, რომ 2022 წლიდან სრულად მოხდეს მისი მოთხოვნების განხორციელება. დღეისათვის საჩხერის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში 1410 აღსაზრდელს ემსახურება 69 აღმზრდელი და ამდენივე აღმზრდელის თანამშემწე.		



ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სერტიფიცირებული პერსონალი (აღმზრდელები, ფსიქოლოგები, ლოგოპედები), რომლებიც ახორციელებენ საბავშვო ბაღებში სახელმწიფოს მიერ კანონით განსაზღვრულ საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვას, ინკლუზიური განათლების პრინციპების დაცვას, ბავშვებისათვის უსაფრთხო და განვითარებისათვის ხელშემწყობი გარემოს უზრუნველყოფას. უფრო მეტი ბავშვის ჩართვა სკოლამდელი განათლების სისტემაში, მშობლებთან თანამშრომლობითი ურთიერთობის დანერგვა. ყველა ბავშვის აღჭურვა ცენტრალური გათბობით, ეზოების კეთილმოწყობა დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.
---	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	04 02		1242,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს საჩხერის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ავტოსატრანსპორტო საშუალებით გადაყვანას.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	დროულად მოსწავლეების გადაადგილება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	განათლების დაწესებულების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	04 03		276,7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ საჩხერის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი		
ქვეპროგრამის აღწერა	საჩხერის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში გაერთიანებულია სხვადასხვა მიმართულებები: საგნობრივი, მხატვრულ-შემოქმედებითი, სპორტული, ესტეტიკური ციკლის წრეები, ქორეოგრაფიული სტუდიები, ფოლკლორული ანსამბლი "საწერეთლო", ბავშვთა საესტრადო წრეები, საბავშვო თეატრი "თე-არტი", თოჯინების თეატრი "კოკროჭინა", ფოლკლორის მუნიციპალური კლუბი "თავთუხები", ბიოლოგიის მუნიციპალური კავშირი და ჭადრაკის მუნიციპალური კლუბი, ასევე ფუნქციონირებს საბალეტო სტუდია. საგნობრივ წრეებში, კლუბებსა და სტუდიებში გაერთიანებულია დაახლოებით 350-მდე მოსწავლე. აქედან გოგონების რაოდენობა შეადგენს 250, ხოლო ბიჭების რაოდენობა 100. - ქართული ლიგის ფესტივალში საჩხერის გუნდი „რავარია“-ს მონაწილეობა. მოხდება ცენტრალური გათბობის სისტემის მონტაჟი.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 4 -ხარისხიანი განათლება	გენდერული	დიახ
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანი: მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია. ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი უნარების განვითარება. თეატრალური სფეროსადმი ახალგაზრდა თაობის დაინტერესების ზრდა, სპორტში მოსწავლეთა ჩართულობა. შედეგი 1: შესაბამისი პროფილის მიხედვით მიღებული ხარისხიანი არაფორმალური განათლება.		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა რეაბილიტაცია	ათას ლარში
	04 04		462,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის მამულებით არსებულ 23 ერთეულ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, საჭიროების მიხედვით მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, ასევე ეზოების კეთილმოწყობა, გასართობი ინფრასტრუქტურის მონტაჟი და შენობების შესაბამისი საჭირო საგნებით აღჭურვა. პროგრამით იგეგმება: ქ. საჩხერეში საბავშვო ბაღების ეზოებში კეთილმოწყობის სამუშაოები; საჩხერის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში და მათ ტერიტორიაზე (ეზოები) სარეაბილიტაციო და კეთილმოწყობითი სამუშაოები. - N2 ბაღში ბილიკებისა და სათამაშო მოედნის მოწყობისათვის სამუშაოები; N3 ბაღში ფანჯატურის მოწყობის სამუშაოები; N3 ბაღში ბილიკებისა და სათამაშო მოედნის მოწყობა.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანი: კომფორტული და უსაფრთხო გარემო. შედეგი 1: შექმნილი კომფორტული და უსაფრთხო გარემო სკოლამდელი დაწესებულებების აღსაზრდელებისათვის.		

მუხლი 16. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 6080,1 ათასი ლარი. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	დასახელება	2023 წლის გეგმა
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	6,080.1
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	4,247.7
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	92.3
05 01 02	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	1,361.5
05 01 02 01	საჩხერის სპორტული სკოლა	773.5
05 01 02 02	საჩხერის საცურაო აუზი	370.5
05 01 02 03	საჩხერის ძალოსნობის დარბაზი	217.5
05 01 03	სპორტული ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია	2,793.9
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	1,650.1
05 02 01	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	110.0
05 02 02	კულტურული ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია	314.7
05 02 03	კულტურული დაწესებულებების ხელშეწყობა	1,225.4



05 02 03 01	ბიბლიოთეკების ხელშეწყობა	225.0
05 02 03 02	საჩხერის კულტურის ცენტრი	388.7
05 02 03 03	სარეკის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი	36.5
05 02 03 04	მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	118.1
05 02 03 05	აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმი	29.7
05 02 03 06	აკადემიკოს კონსტანტინე და მხატვარ სოსო წერეთლების სახელობის მუზეუმი	44.0
05 02 03 07	სამუსიკო სკოლა	245.5
05 02 03 08	სამხატვრო სკოლა	62.5
05 02 03 09	არგვეთის კულტურის სახლი	75.4
05 03	ტურიზმისა და ახალგაზრდულ ღონისძიებათა პროგრამა	82.3
05 04	რელიგიის ხელშეწყობა	100.0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01		92,3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	სპორტული ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში წლის განმავლობაში დადგენილი სპორტული ღონისძიებები ემსახურება მასობრივ სპორტში ახალგაზრდების ჩართულობას, სპორტის სხვადასხვა სახეობის პოპულარიზაციას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება-განვითარებას, ასევე, ქუჩის მავნე გავლენის შემცირებას და სპორტული მოედნებისაკენ ახალგაზრდობის ორიენტირებას. დაგეგმილი ღონისძიებებია: 1. შოთა ივანაშვილის სახელობის მუნიციპალური ჩემპიონატი ჭადრაკში; 2. 8 მარტისადმი მიძღვნილი ტურნირი ქართულ ნარდში ქალბატონებს შორის; 3. კალათბურთის ტურნირი ვაჟებში საჯარო სკოლის გუნდებს შორის; 4. ოლეგ ჭილაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მინი-ფეხბურთში საჯარო სკოლის გუნდებს შორის; 5. გოგა მანჯავიძის ხსოვნის გოგონათა ტურნირი ფრენბურთში საჯარო სკოლის გუნდებს შორის; 6. გოგა მანჯავიძის ხსოვნის ვაჟთა ტურნირი ფრენბურთში საჯარო სკოლის გუნდებს შორის; 7. მუნიციპალური ტურნირი ტექნოლოგიის მოყვარულთა შორის; 8. ყოფილი სპორტსმენისა და საჯარო მოხელის ლევან ციმაკურიძის სახელობის მუნიციპალური ტურნირი მინი-ფეხბურთში ორგანიზაციებს შორის; 9. კალათბურთში მუნიციპალური ტურნირი (3X3) ქუჩის კალათბურთში. 10. აგვისტოს ომში დაღუპული საჩხერელი კაპრალის ირაკლი ბაზაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი მუნიციპალური ჩემპიონატი ფეხბურთში; 11. გიორგი ასანიძის სახელობის ტურნირი ძალოსნობაში-საქართველოს ღია პირველობა; 12. მუნიციპალური ტურნირი ნარდში საჯარო მოხელეებს შორის; 13. ჭადრაკის პირველობა საჯარო სკოლის მოსწავლეებს შორის; 14. შაშის პირველობა საჯარო სკოლის მოსწავლეებს შორის; 15. სასკოლო სპორტული ოლიმპიადის მონაწილე გუნდებისათვის საჭირო სპორტული ფორმების შეძენა; 16. სხვადასხვა სპორტული და ტურისტული ინვენტარი; 17. სპორტის თარიღების აღნიშვნა სხვადასხვა სპორტული აქტივობებით წლის განმავლობაში პერიოდულად; 18. საფეხბურთო კლუბ "საჩხერის ჩიხურას" ვეტერან ფეხბურთელთა ამხანაგური მატჩი; 19. ველორბოლა მოყვარულთა შორის; 20. თამაზ ლაშხის სახელობის ტურნირი ძალოსნებს შორის მაგიდის ჩოგბურთში; 21. ოთხთა ტურნირი ფეხბურთში ჯონი მიქაძის თასზე; 22. "მუხრანის თასი" - ტურნირი ფრენბურთში საჯარო სკოლის გუნდებს შორის. 23. მუნიციპალური ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში და სხვა. -სასკოლო სპორტული ოლიმპიადის რეგიონული თამაშების მონაწილე სკოლის გუნდებისათვის სპორტული ფორმების შეძენა.		
	პროგრამის მიზანი: ახალგაზრდების სპორტიულ ცხოვრებაში ჩართვა. ზოგადად სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება. საჩხერელებისათვის საყვარელი ადამიანების სახელების უკვდავყოფა, საჩხერელი		



ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ახალგაზრდებისა და ზოგადად, მოსახლეობის სპორტულად გააქტიურება. მათ შორის ჩემპიონისა და პრიზიორების წახალისება. შედეგი 1: წლის განმავლობაში განხორციელებული სპორტული ღონისძიებებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობისა და ჩართულობის გაზრდა. შედეგი 2: მასობრივ სპორტში ახალგაზრდების ჩართვით ქუჩის მავნე გავლენისაგან დაცვა
---	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საჩხერის სპორტული სკოლა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02 01		773,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ საჩხერის სასპორტო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა	საჩხერის სასპორტო სკოლა აერთიანებს 13 სპორტულ სახეობას, ესენია: ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ძიუდო, სამბო, ქართული ჭიდაობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, თავისუფალი ჭიდაობა, კარატე, ტაეკვონდო, ჯადრაკი, რაგბი, კრივი. სულ სასპორტო სკოლაში სპორტის სახეობებს ეუფლება ყველა სახეობაში 600 მოზარდი, აქედან 45 გოგონა, რომელთაც საწვრთნელი ვარჯიშები უტარდებათ ყოველ დღე კვირის გარდა. სკოლის სპორტსმენები მონაწილეობას ღებულობენ რეგულარულად საქართველოს ჩემპიონატებზე და საერთაშორისო ტურნირებზე, სადაც არაერთი საპრიზო ადგილები აქვთ დაკავებული. აგრეთვე სპორტსმენები რეგულარულად გადიან საწვრთნელ შეკრებებს. სასპორტო სკოლა ფუნქციონირებს მთელი წლის განმავლობაში შეუფერხებლად, ყველა მსურველი დაკმაყოფილებულია სკოლის მომსახურებით, საჩხერის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ყველა სპორტული წრით სარგებლობა უფასოა. საპრიზო ადგილზე გასული სპორტსმენები ჯილდოვდებიან სპორტული პრიზებით. -ცენტრალური სტადიონის მოვლა შენახვა და სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 3 -ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა მიზანი 5 -გენდერული თანასწორობა	გენდერული	დიახ
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანი: მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება; მეტი მოზარდის ჩართვა სპორტის სხვადასხვა სახეობებში; მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით. შედეგი 1: ბავშვთა რაოდენობების გაზრდა სპორტის ყველა სახეობაში და მათი ხელშეწყობა. შედეგი 2: სპორტული შედეგების ზრდა. შედეგი 3: შიდა სპორტული ღონისძიებების რაოდენობის ზრდა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საჩხერის საცურაო აუზი	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02 02		370,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ საჩხერის საცურაო აუზი		
	ახალგაზრდობა საზოგადოების უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რომელმაც მომავალში ცვლილებებისა და განვითარების პროცესში დიდი როლი უნდა ითამაშოს. მათი განვითარებისთვის სპორტი ისეთივე მნიშვნელობისაა, როგორც სხვა ნებისმიერი ფორმალური		



თუ არაფორმალური განათლება.

ახალგაზრდების დაინტერესება, ხელშეწყობა სპორტსმენებად ჩამოყალიბებაში და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, როგორც სახელმწიფოს, ასევე ადგილობრივი მუნიციპალიტეტისთვისაც ერთ-ერთი პრიორიტეტია.

ქვეპროგრამის მიზანია ხელს შეუწყოს საჩხერის მოსახლეობაში, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა თაობებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას და სპორტის ისეთი სახეობების განვითარებას როგორცაა: წყალბურთი, ცურვა და თანამედროვე ხუთჭიდი. თანამედროვე ხუთჭიდი მოიცავს სპორტის შემდეგ მიმართულებებს: ცურვა, მიზანში სროლა, სირბილი, ფარიკაობა და ცხენოსნობა.

თანამედროვე ხუთჭიდში შემავალი სპორტის ამ ხუთი სახეობიდან საცურაო აუზზე სპორტსმენები ვარჯიშობენ და შეჯიბრებებშიც მონაწილეობას იღებენ მხოლოდ ცურვაში, მიზანში სროლაში, სირბილსა და ფარიკაობაში. ცხენოსნობას რაც შეეხება, ამ ეტაპზე შესაბამისი ბაზის არქონის გამო ეს სახეობა ვერ ვითარდება.

საცურაო აუზზე არსებული სპორტულ ჯგუფებში მთლიანობაში 80 სპორტსმენია.

სპორტსმენების რაოდენობა სპორტული სახეობების მიხედვით:

წყალბურთი- 40, მათ შორის 40 ვაჟი 0 გოგონა;

ცურვა და თანამედროვე ხუთჭიდი - 40, მათ შორის 20 ვაჟი და 20 გოგონა;

გენდერულ ჭრილში, რომ განვიხილოთ სპორტსმენი გოგონები საერთო რაოდენობის 25 % შეადგენს.

როგორც ჩვენს მიერ ნაწარმოებმა სტატისტიკამ აჩვენა სპორტსმენი გოგონებისა და ზოგადად მდედრობითი სქესის მომხმარებლების რაოდენობა ნაკლებია სპორტსმენი ვაჟებისა და ზოგადად მამრობითი სქესის მომხმარებლებზე.

სპორტსმენებთან მიმართებაში საკუთარი ძალებითა და რესურსით ჩავატარეთ მცირე კვლევა. კვლევისთვის შერჩეული იქნა 6-14 წლის ასაკის აუზის მდედრობითი სქესის მომხმარებლები (მშობლებთან ან კანონიერ წარმომადგენლებთან ერთად) კვლევის მეთოდად გამოყენებული იყო ინტერვიუ. კვლევის მიზანი იყო გაგვეჩვენა ქონდათ თუ არა სურვილი რეგულარულად ევარჯიშათ აუზზე არსებულ სპორტის რომელიმე სახეობაში, და თუ კი სურვილი ქონდათ, მაგრამ მაინც არ ერთვებოდნენ, რა იყო მათთვის ხელის შემშლელი ფაქტორები. გამოკითხული რესპოდენტების უმრავლესობამ პრობლემად დაასახელა ტრანსპორტთან შეზღუდული ხელმისაწვდომობა.

როგორც ვიცით სხვადასხვა წრეების უმრავლესობა მუნიციპალიტეტების რაიონულ ცენტრშია თავმოყრილი, ეს კი ტრანსპორტთან შეზღუდული ხელმისაწვდომობის პირობებში მეტ დაბრკოლებას უქმნის ახალგაზრდებს სოფლის ტიპის დასახლებებიდან. რადგან მათ ვარჯიშზე მოსვლა უწევთ სკოლის შემდეგ. ხოლო ვარჯიშის დამთავრებისას (იგულისხმება საღამოს 6 საათი ან მეტი) საზოგადოებრივი ტრანსპორტი ფაქტიურად აღარ მოძრაობს, მათ უწევთ ქუჩაში დგომა შემთხვევითი გამგლელის იმედად. ასეთ სიტუაციაში მგზავრობას ვაჟები ასე თუ ისე თავს ართმევენ, მაგრამ აღმოჩნდა რომ გოგონებისთვის დიდ სირთულეს წარმოადგენს, ამიტომ ამგზობინებენ უარი თქვან რეგულარულ სპორტულ აქტივობაზე. ამის გამო სოფელში მცხოვრები ახალგაზრდები ხშირად დისკრიმინაციულ მდგომარეობაში არიან რაიონულ ცენტრი მცხოვრებ ახალგაზრდებთან შედარებით.

შენიშვნა: რაიონში არ არსებობს მუნიციპალური საზოგადოებრივი ტრანსპორტი. სოფლების მიმართულებით ძირითადად მოძრაობენ მიკრო ავტობუსები, რომლებიც კერძო პირების მფლობელობაშია. ისინი თვითონ განსაზღვრავენ თავიანთი მუშაობის დროს და განრიგს.

გარდა სპორტული დატვირთვისა აუზი ასევე წარმოადგენს გამაჯანსაღებელ ცენტრს და ემსახურება წელიწადში საშუალოდ 11 000 მომხმარებელს (სტატისტიკა გაკეთებულია 2022 წლის მდგომარეობით). გენდერულ ჭრილში სტატისტიკით მომხმარებელთა უმრავლესობა არის კაცი/ვაჟი 56 % ხოლო 44 % ქალი/გოგონა. თუ რატომ არის ქალი/გოგონა მომხმარებელი ნაკლები ვიდრე კაცი/ვაჟი ამაზე კვლევა არ ჩავატარებია. თუმცა ინფრასტრუქტურულად, იქნება ეს საშაპეები, ტუალეტები, გასახდელები, კარადები თუ სხვა, ერთნაირადაა მოწყობილი ორივე სქესის წარმომადგენლებისთვის. სპორტსმენები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას იღებენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში. მეტწილად არიან საპრიზო ადგილების მფლობელები.

ქვეპროგრამის აღწერა

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 3 -ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა	გენდერული	დაიხ
	მიზანი 5-გენდერული თანასწორობა		



ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანია:
	1. ახალგაზრდა თაობებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება და ხელშეწყობა; 2. საწყალოსნო სპორტის სახეობათა განვითარების ხელშეწყობა; 3. სპორტული სახეობის - ხუთჭიდის განვითარება და ხელშეწყობა; 4. მუნიციპალიტეტის სახელით სხვადასხვე ღონისძიებებში მონაწილეობა. შედეგი 1: საჩხერის მოსახლეობაში, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა თაობებში გაიზარდა სპორტით დაკავებულთა და ცხოვრების ჯანსაღი წესის მიმდევართა რაოდენობა; შედეგი 2 : წყალბურთის გუნდის მიღწევების გაუმჯობესება. წყალბურთელ გოგნათა გუნდის არსებობა. შედეგი 3: ცურვისა და თანამედროვე ხუთჭიდის მიღწევების გაუმჯობესება. სპორტსმენ გოგონათა გაზრდილი რაოდენობა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საჩხერის ძალოსნობის დარბაზი	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02 03		217,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ოლიმპიური ჩემპიონის ლაშა ტალახაძის სახელობის საჩხერის ძალოსნობის დარბაზი		
ქვეპროგრამის აღწერა	ა(ა)იპ ოლიმპიურ ჩემპიონ ლაშა ტალახაძის სახელობის საჩხერის ძალოსნობის დარბაზი სპეციალიზებულია სპორტის სახეობა ძალოსნობის მიმართულებით,რომელიც აერთიენებს 5 ასაკობრივ ჯგუფს. მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენს 120 მოზარდს, დარბაზის აღსაზრდელები რეგულარულად მონაწილეობენ ჩემპიონატებში და ტურნირებში როგორც რეგიონული, ასევე ქვეყნისა და საერთაშორისო მასშტაბით. დარბაზი ორგანიზებას უწევს ტრადიციულად დაგეგმილ და სიტუაციურ სპორტულ ღონისძიებებს.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანი: ძალოსნობის მასაობრიობის ზრდა, მეცადინეობებში რაც შეიძლება მეტი მოზარდის, მათ შორის გოგონების ჩაბმა, მომავალი თაობის ქუჩის მავნე გავლენისაგან დაცვა, მათში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, მომსახურების ახალი ფორმების დანერგვა და მისი ხელმისაწვდომობის მიღწევა ქალაქისა და სოფლების მოსახლეობისათვის, მაღალ მთიანი სოფლებისათვის ადგილზე სპორტული დარბაზების გახსნა. საქართველოს ასაკობრივი ნაკრებისათვის პერსპექტიული სპორტსმენების აღზრდა, ახალგაზრდების წახალისების ახალი მეთოდების დანერგვა და სპორტსმენთა სტიმულირების განვითარება. შედეგი 1: ბავშვთა რაოდენობის გაზრდა და მათი ხელშეწყობა. შედეგი 2: სპორტული შედეგის ზრდა. შედეგი 3: სპორტული ღონისძიებების რაოდენობის ზრდა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ობიექტების მშენებლობა რეზილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 03		2793,9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური		



	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სპორტული მოედნების რეაბილიტაცია. იმ ტერიტორიაზე რომელიც წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებას. ქვეპროგრამის ფარგლებში იგეგმება: სოფელ გორისაში ზედა შეყლაშვილების უბანში მინი სტადიონის მოწყობა; გაგრძელება საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთში სპორტული მოედნების მოწყობის სამუშაოები; საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭორვილაში სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები. სპორტული მოედნები მოწყობილი იქნება ყველა ასაკის მოსახლეობისათვის -ქალები, კაცები, ბავშვებისათვის -გოგონები და ბიჭები, ასევე შშმ პირთათვის. იგეგმება ჭალის ადმინისტრაციულ ერთეულში სპორტული მოედნის რეაბილიტაცია. -ქ. საჩხერეში, მუხრან მაჭავარიანის ქუჩაზე მდებარე სტადიონზე დაზიანებული ღობეების დემონტაჟი; სოფელ ჭალაში, ახალ დასახლებაში მინი სტადიონის მშენებლობა; სოფელ ჭორვილაში მინი სტადიონის დასრულება; სოფელ ქორეთში, პასიეთის დასახლებაში მინი სტადიონის დასრულება; ქ. საჩხერეში, სპორტის სასახლის მშენებლობა; ქ. საჩხერეში, სტადიონების მოწყობა-რეაბილიტაცია. -კორბოულის ადმ. ერთეულში სტადიონების რეაბილიტაცია; ქ. საჩხერეში სპორტული ინფრასტრუქტურის, ტრენაჟორების რეაბილიტაცია - მოწყობა; სოფელ ჯალურთაში სპორტული მოედნის რეაბილიტაცია; სოფელ ჩიხაში რაგბის სტადიონზე სპორცმენტა გასახდელების მოწყობა. რგპფ -ქ. საჩხერეში ცენტრალური სტადიონისა და მიმდებარე ტერიტორიის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 9- მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა მიზანი 11 -მდგრადი ქალაქები და დასახლებები გენდერული დიახ
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანი: განახლებული სპორტული მოედნები, სპორტზე გაზრდილი ხელმისაწვდომობა. შედეგი 1: განახლებული სპორტული მოედნების რაოდენობა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01		110,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საჩხერის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	კულტურული ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში წლის განმავლობაში დაგეგმილი სხვადასხვა სახის კულტურულ-საგანმანათლებლო, თეატრალურ-მუსიკალური, ფესტივალ-კონკურსები, გამოფენები, თეატრალური წარმოდგენები, მუსიკლურ-ლიტერატურული კომპიზიციები ემსახურება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ფართო მასების კულტურულ ცხოვრებაში აქტიურ ჩართვას. ხელოვნების სხვადასხვა სფეროს პოპულარიზაციას. ცნობილი ადამიანების პატივგებას. ასაკობრივ თაობათა შორის კავშირის განმტკიცებას, გართობისა და დასვენების თვალსაზრისით თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენებას, მუნიციპალიტეტის პრესტიჟისა და ღირსების განმტკიცებას. დაგეგმილი ღონისძიებებია: 9 აპრილი - „ვაჩუქოტ ერთმანეთს ღიმილი“ - ხსოვნის საღამო 2. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე - საზეიმო კონცერტი; 3სახალხო დღესასწაული-საჩხერლობა; 4.საჩხერეზე ახალი სიმღერის შექმნა, გაორკესტრება, სტუდიური ჩაწერა, კლიპის გადაღება; 5 სრულიად საქართველოს მეშვიდე ფესტივალი „ქართული საგალობლები“; 6.მუსიკალურ-თეატრალური ღონისძიებები; 7.მუხრანის პრემია - „პოეტური მინიატურები“; 8. „ფერიცვალება“ ღონისძიების აღდგენა; 9.ვიქტორ ნოზაძე - პოლიტიკური მოღვაწე, რუსთველოლოგი - 130 წლის იუბილე; 10.მედეა ჯაფარიძე დაბადებიდან 100 წლის იუბილე „მზე შემოდგომისა“; 11. რევაზ ჯაფარიძის 100 წლის იუბილე; 12.მხატვარ ელგუჯა ამაშუკელი 95 წლის იუბილე; 13. ზურაბ ტატაძის - გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი - 95 წლის იუბილე; 14. ექიმ სევერიან ჭოლოშვილის და 145 წლის იუბილე; 15.პოლკოვნიკ ბესიკ ქუთათელაძის 65 წლის იუბილე; 16.მხატვარ სოსო წერეთლის 65 წლის იუბილე -„ჯინსების თაობა“; 17.საშობაო-საახალწლო ღონისძიება; 18.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ფოტო გამოფენა; 19.მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ამსახველი ცნობარის გამოცემა (ფერადი) და სხვა.		



ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანი: მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება, ჭეშმარიტად ეროვნულ ფასეულობებზე ორიენტირების პროცესის განვითარება, ამ პროცესის გააქტივებაში თავისი ადგილისა და როლის ზუსტად განსაზღვრა-გამოყენებისათვის კულტურულ-საგანმანათლებლო და შემოქმედებითი საქმიანობის სტიმულირება. კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, პატივისცემა და განვითარება, შემოქმედებით სფეროში მოღვაწე ადამიანების მოტივაციის ამაღლება.
	შედეგი 1: წლის განმავლობაში განხორციელებული ღონისძიებებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობისა და ჩართულობის გაზრდა. შედეგი 2: კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების პოპულარიზაცია ტურისტული თვალსაზრისით, ვიზიტორების მოზიდვა.სარგებლე ბენეფიციართა რაოდენობისა და ჩართულობის გაზრდა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული ობიექტების მშენებლობა რეზილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 02		314,7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მშენებლობა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. ქვეპროგრამის ფარგლებში იგეგმება: მუნიციპალიტეტის მამტაბით არსებული კულტურული ობიექტების (მუზეუმები, კულტურის სახლები და სხვა) რეკონსტრუქცია-ის თანადაფინანსება; მუნიციპალიტეტის მამტაბით არსებული კულტურული ობიექტების (მუზეუმები, კულტურის სახლები და სხვა) რეაბილიტაცია; რეკონსტრუქცია -„ჯრუჭის“ მონასტრის გუმბათისა და სამრეკლოს რეაბილიტაცია.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანი: ისტორიულ-კულტურული ძეგლები წარმოადგენენ საჩხერის მუნიციპალიტეტის სავიზიტო ბარათს, შესაბამისად ადგილობრივი მოსახლეობა მიიღებს გარკვეულ სარგებელს, როგორც დასაქმების ასევე ჩამოსული მნახველისა და ტურისტული ნაკადის მომსახურების კუთხით. შედეგი 1: რეაბილიტირებული კულტურული ობიექტები და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალი.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ბიბლიოთეკების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 03 01		225,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ აკაკი წერეთლის სახელობის საჩხერის ბიბლიოთეკა		
	რადგან საქართველოში სულ უფრო ვითარდება ტექნოლოგიები და იზრდება ციფრული მომსახურება, წიგნიერება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. იგი აგრეთვე ზრდის დასაქმებისა და უმაღლესი განათლების შესაძლებლობას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მოდერნიზაციის, განათლებისა და ეკონომიკური ზრდის უფრო დიდ პერსპექტივებს. ბიბლიოთეკას, როგორც საკითხავი მასალების უაღრესად ხელმისაწვდომ წყაროსა და თანამედროვე ტექნოლოგიების ცენტრს, აქვს უდიდესი შესაძლებლობა ხელი შეუწყოს წიგნიერების განვითარებას, როგორც საქალაქო ასევე სასოფლო თემებში. ფართო საზოგადოებისათვის მრავალფეროვანი ინფორმაციის უსასყიდლო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, დემოკრატიული კულტურის განვითარებისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესების მიზნით. დაგეგმილია, რომ ბიბლიოთეკა გახდეს ერთ-ერთი ინიციატორი, მამოძრავებელი ძალა და სანდო პარტნიორი ისეთი პროგრამებისა და მიზნების		



ქვეპროგრამის აღწერა	განხორციელებისათვის როგორიცაა: 1. განათლების ინფორმაციული საშუალებების განვითარება. 2. საინფორმაციო სისტემების განვითარება. 3. დემოკრატიის განვითარება, სოციალური ჩართულობა. 4. მემკვიდრეობის დაცვა, არქივების შექმნა. 5. ბიზნესის, სოფლის მეურნეობის განვითარება და მოქალაქეთა ცხოვრების დონის ამაღლება. 6. ახალგაზრდობისა და საბავშვო პროგრამები. 7. ინოვაციური საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება. გარდა ამისა მომხმარებელთა პატივისცემა და ინფორმაციის თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველასათვის, განუხრელად ასაკის, რასის, სქესის, რელიგიის, ეროვნების, ენის და სოციალური სტატუსისა, საქართველოს კულტურული, რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნების შენარჩუნება. პასუხისმგებლობა დემოკრატიის ხელშეწყობაზე, ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების და საზოგადოებრივი ბიბლიოთეკის მშენებლობაზე ვალდებულებების აღება. უფასო ცოდნის, განათლებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საზოგადოების ყველა წევრისათვის, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია. ადგილობრივი ისტორიისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობით ეროვნული თვითმყოფადობის განვითარება. ბიბლიოთეკების მოტივაციის კვალიფიკაციის ამაღლება იმისათვის, რომ ისინი ჩამოყალიბდნენ საზოგადოებისათვის სანდო და კვალიფიციურ მრჩეველებად. უფასო საინფორმაციო და საკონსულტაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, ახალი ციფრული საშუალებების და ელექტრონული სერვისების გავრცელება სასოფლო ბიბლიოთეკა-განყოფილებებში. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ინფორმაციის მიწოდება მოსახლეობასთან. ეწყობა სხვადასხვა სახის მასობრივი ღონისძიებები. ბიბლიოთეკაში შექმნილია ისეთი ფიზიკური და ვირტუალური საჯარო სივრცე, რომელიც იქნება ხელმისაწვდომი და მისაღები საქართველოს ყველა მოქალაქისათვის. ბიბლიოთეკის ბაზაზე არსებობს გაზეთ „მოდინახეს“ რედაქცია. გაზეთი იბეჭდება ყოველთვიურად. სწორედ ამ ქვეპროგრამის განხორციელებას ემსახურება რაიონში არსებული ერთი მთავარი და 15 სასოფლო ბიბლიოთეკა-განყოფილება 144000 ეგზამპლარი წიგნადი ფონდითა და ელექტრონული ტექნოლოგიებით.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანი: მომხმარებლების რაოდენობის ზრდა, ინფორმაციის სწრაფი მიწოდება თანამედროვე ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით. შედეგი1: წიგნადი ფონდის რაოდენობის ზრდა შედეგი2: წიგნის გაცემის ზრდა შედეგი3: მომხმარებელთა რაოდენობის ზრდა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საჩხერის კულტურის ცენტრი	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 03 02		388.7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ საჩხერის ობოლა ციმაკურიძის სახელობის საჩხერის კულტურის ცენტრი	
ქვეპროგრამის აღწერა		კულტურის ცენტრი მუშაობს სხვადასხვა მიმართულებებით: . ქორეოგრაფიული, ფოლკლორული, სამეჯლისო-სპორტული ცეკვების სტუდიები და ანსამბლები. . პაოლო იაშვილის სახელობის სახალხო თეატრი. . მამია ხატელიშვილის სახელობის სამუსიკო სტუდია,სადაც ფუნქციონირებს ფორტეპიანოს და ვიოლინოს კლასები,გიტარის შემსწავლელთა წრე,ვაჟთა სიმ-ლერის ანსამბლი „განთიადი“,ბავშვთა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი.სტუდიებსა და ანსამბლებში	

	გაერთიანებულია 300-მდე ბავშვი,მათ შორის 175 გოგონაა და 125 ვაჟი. . სალოტბარო სკოლა . კულტურის ცენტრი მუშაობს თვითშემოქმედებითი ნიმუშების მოძიებისა და პოპულარიზაციის,აგრეთვე რეწვის ოსტატებისა და თვითნასწავლი მხატვრების აღმოჩენისა და მათთვის ხელის შეწყობის კუთხით.ასევე ხდება ხალხური პოეზიის,ხალხური სიმღერისა და ზეპირსიტყვიერების ოსტატთა მოძიება და მათი ჩართვა ფოლკლორულ ფესტივალებსა და სახალხო ზეიმებში.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანი: ეროვნული კულტურული ღირებულებების შენარჩუნება და პოპულარიზაცია: მომავალ თაობებში ეროვნული კულტურისა და ხელოვნებისადმი ინტერესის გაღვივება, კულტურულ პროცესებში ადგილობრივი საზოგადოების აქტიურად ჩართვა და მისთვის ხარისხიანი პროდუქციის მიწოდება, ცენტრის მიერ შექმნილი კულტურული ღირებულებების გატანა რესპუბლიკურ და საერთაშორისო ასპარეზზე. სახელმწიფოებრივად მოაზროვნე მომავალი თაობის მაღალ სულიერ და ზნეობრივ პრინციპებზე აღზრდის ხელშეწყობა. შედეგი1: გაიზრდება კულტურულ ღონისძიებებზე დამსწრე მოსახლეობის რაოდენობა. შედეგი 2: გაიზრდება სტუდიებსა და ანსამბლებში ჩართული ბავშვთა რაოდენობა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სარეკის კულტურულ– საგანმანათლებლო ცენტრი	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 03 03		36,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ სარეკის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა	კულტურის ცენტრში იგეგმება სხვადასხვა წრეების დამატება, დაინტერესება სხვადასხვა კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში, რაც გამოიწვევს მოსწავლე-ახალგაზრდობის დაინტერესებას და გაზრდის მოსწავლეთა რაოდენობას. სარეკის კულტურის სახლში გაერთიანებულია სხვადასხვა წრეები და სტუდიები: ქორეოგრაფიული სტუდია, მუსიკალური სტუდია, ინგლისურის წრე, მხატვრული წრე, წრეებში მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენს 25 მათ შორის 13 გოგონა 12 ბიჭი. სარეკის კულტურის სახლი აქტიურად თანამშრომლობს სარეკის საჯარო სკოლასა და სასოფლო ბიბლიოთეკასთან		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანი: სარეკის თემის მოსახლეობის, განსაკუთრებით მოსწავლე-ახალგაზრდობის სპორტულ და საგანმანათლებლო საქმიანობაში ხელშეწყობა, აქტიური მონაწილეობა ფესტივლებსა და კონკურსებში. შემოქმედებითი ჯგუფების ხელშეწყობა. შედეგი1: კულტურისა და ხელოვნების სფეროში მოქმედი შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა და წრეებში ჩართული მოსწავლეთა რაოდენობის ზრდა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 03 04		118,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „პროფესორ ჯურხა ნადირაძის სახელობის საჩხერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი"		
ქვეპროგრამის აღწერა	„მუზეუმებისა“ და კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საკანონმდებლო და საინსტრუქციო მოთხოვნების შესატყვისი ურთიერთობების რეგულირება.სამეცნიერო-საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება, კრიზისული სიტუაციების მართვა და ტურისტების მოზიდვა.		



ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანი: სამუზეუმო პოლიტიკის გატარება. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია, მოსწავლე-ახალგაზრდობის დაინტერესება და ჩართულობა სამუზეუმო მუშაობაში. მუზეუმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. შედეგი 1: კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და სხვადასხვა ობიექტების დაცვა. შედეგი 2: სამეცნიერო-სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამებისა და საინფორმაციო ლიტერატურის შექმნა და გავრცელება. შედეგი 3: ეთნოკულტურის პოპულარიზაცია. შედეგი 4: სამუზეუმო ფონდის შევსება. შედეგი 5: ტურისტულ-საექსკურსიო ჯგუფების მოზიდვა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმი	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 03 05		29,7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ს.ს.ი.პ. აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმი		
ქვეპროგრამის აღწერა	მუზეუმი თავის საქმიანობაში უდიდეს ყურადღებას უთმობს დამთვალიერებელთა სხვადასხვა კატეგორიასთან შეხვედრასა და მათ სათანადო მომსახურებას. აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმში მნახველებს საშუალება აქვთ გაეცნონ პოეტის მემორიალურ ნივთებს, სოფელ სავანეში მიმდისეულ ქოხს, იქ განთავსებულ აკაკის დროინდელ შუა ცეცხლის ჯერას, სპილენძის ჭურჭელსა და სხვადასხვა ნივთებს , ხის საძინებელ ტახტს, სადაც მთელი ოჯახის ჯალაბოზა თავსდება, სოფელ სხვიტორში საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილ მგოსნის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველ განახლებულ გამოფენას, ხოლო როსტომისეულ სასახლეში აკაკის ოთახს, სადაც დაიბადა და გარდაიცვალა მგოსანი, დამხმარე მეურნეობას ბეღლებით, მარანით, სახაბაზოთი, სასიმინდით და თავადთათვის დამახასიათებელ ყოფისა და ცხოვრების ამსახველი მომენტებით.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანი: თავისი მაღალპროფესიული საქმიანობით მუზეუმი აღწევს მთავარ მიზანს, რაც ითვალისწინებს მგოსნის ცხოვრების და შემოქმედების პოპულარიზაციას. შედეგი1: სამუზეუმო საქმიანობის მენეჯმენტის გაუმჯობესება, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია, ვიზიტორთა მოზიდვა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	აკადემიკოს კონსტანტინე და მხატვარ სოსო წერეთლების სახელობის მუზეუმი	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 03 06		44,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ აკადემიკოს კონსტანტინე და მხატვარ სოსო წერეთლების სახელობის მუზეუმი		
	მუზეუმში დღეის მდგომარეობით განთავსებულია 445 ექსპონატი. მუზეუმში წლის განმავლობაში ემსახურება 320 ვიზიტორს. მუზეუმის ინიციატივით იგეგმება შემდეგი ღონისძიებების ჩატარება:		



ქვეპროგრამის აღწერა	1. კონსტანტინე წერეთლის დაბადების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება; 2. სოსო წერეთლის დაბადების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება; 3. „ღამე მუზეუმში“; 18 ნოემბერს „თვითმფრინავის ბიჭების“ გახსენება; 4. საირხის წმინდა ნინოს მართლმადიდებლური გიმნაზიის მოსწავლეებთან ერთად ლიტერატურული საღამო. ტრაგედიის დღისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო; მუზეუმში განსაკუთრებით იტვირთება სასწავლო წლის დამთავრების პერიოდში ექსკურსიებით და ჩამოსული სტუმრებით. მუზეუმში წლის განმავლობაში შეუფერხებლად მუშაობს.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანი: კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებები, სოსო წერეთლის სახელობის სამხატვრო სკოლის მოსწავლეების არაჩვეულებრივი ხელოვნების ნიმუშების გამოფენა, ფართო საზოგადოების კიდევ უფრო მეტად დაინტერესება. შედეგი1: მუზეუმში ვიზიტორების მოზიდვა და რაოდენობის გაზრდა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სამუსიკო სკოლა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 03 07		245.5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ დავით თორაძის სახელობის საჩხერის სამუსიკო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა	სამუსიკო სკოლაში მუსიკალურ განათლებას დებულობს 270 მოსწავლე, (ვაჟი 60, გოგონა 210), მათ შორის საფორტეპიანო განყოფილებაზე სწავლობს 185 მოსწავლე, სავიოლინო განყოფილებაზე 8 მოსწავლე, ხალხურ საკრავებზე 25 მოსწავლე, საესტრადო განყოფილებაზე 22 მოსწავლე, ფოლკლორულ ანსამბლში ირიცხება 30 მოსწავლე.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანი: კლასიკური და ხალხური მუსიკის პოპულარიზაცია, პროპაგანდა, მოზარდი თაობის ინტელექტუალურ მსმენელად ჩამოყალიბება, მოსწავლეთა საშემსრულებლო ხელოვნების დახვეწა, განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენა, სიმღერის, ფოლკლორის და სხვადასხვა ინსტრუმენტების შესწავლა. შედეგი 1: გაიზარდოს მუსიკის შესწავლის მსურველთა რაოდენობა. შედეგი 2: საერთაშორისო და რესპუბლიკურ კონკურსებსა და ფესტივალებზე საპრიზო ადგილების გაზრდა. შედეგი 3: ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობის გაზრდა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სამხატვრო სკოლა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 03 08		62,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ სოსო წერეთლის სახელობის საჩხერის სამხატვრო სკოლა		
	ქვეპროგრამა მოიცავს საჩხერის მუნიციპალიტეტში მოქმედი დაწყებითი სამხატვრო განათლების ერთი სკოლის დაფინანსებას, სადაც საბაზისო სამხატვრო განათლებას იღებს 183 ბავშვი. აქედან		



ქვეპროგრამის აღწერა	102 მოსწავლე გოგონა და 81 ბიჭი. ქვეპროგრამის ამოცანას წარმოადგენს: -სასწავლო ვადის ფარგლებში, რომელიც შეადგენს 6 წელს შეუქმნას მოსწავლეებს შესაბამისი პირობები ინდივიდუალური შემოქმედების განვითარებისთვის, იზრუნოს მათი ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაზე, ასწავლოს სხვადასხვა სამხატვრო მასალების ,, ზეთი, აკრილი, გუაში, აკვარელი, ფანქარი, პასტელი, ტუში“ გამოყენებით, მრავალფეროვანი ნახატების შექმნა, მოსწავლეებმა შეძლონ ხელოვნების უიშვიათეს ნიმუშებში ამ მასალების ამოცნობა. - ხელოვნების ნიმუშებში ნახატის კონცეფციის ამოცნობა და მათი დაკავშირება მხატვრის ჩანაფიქრთან. გამოყენებითი ხელოვნების თავისებურებების დაუფლება, ქართული და მსოფლიო ხელოვნების შედეგების გაცნობა, ფერწერისა და გრაფიკის საფუძვლების შესწავლა, სივრცითი პერსპექტივის გამოყენებით ნახატის აგება, პორტრეტში გადმოცემული შინაგანი სულიერებისა და ხასიათის შემეცნება, ავტოპორტრეტის დახატვა, ფიგურების გამოყენებით კომპოზიციების შექმნა. ქანდაკებების, ბიუსტების, ბარელიეფების დახატვით ვიზუალური მეხსიერების გამომუშავება. პლასტიკური ანატომიის საფუძვლების შესწავლა, საქართველოს კულტურული და მატერიალური ძეგლების თავისებურებების გამოვლინება სხვადასხვა კუთხეების მაგალითებზე, ეთნიკურ უმცირესობათა ხელოვნების ნიმუშების გაცნობა. სამუშაო პროცესი მოიცავს: მოსწავლეთა რეგულარულ დასწრებას გაკვეთილებზე, ჯგუფების მიხედვით შესაბამისი დავალებების მიცემას და შემეცნებას, ინდივიდუალური სამხატვრო ჩვევების გამომუშავებას, კომპოზიციების დამოუკიდებლად შედგენას, ფერების შეხამების შესწავლას, საღებავების შერევით სხვადასხვა ფერების მიღებას. აღსანიშნავია შემდეგი გარემოება: წლების მანძილზე გეგმაზომიერად და მართებულად წარმართულმა სწავლის პროცესმა თავისი შედეგი უკვე გამოიღო. 2013 წლიდან მიმდინარე პერიოდამდე მონაწილეობას ვიღებთ მსოფლიოს ბავშვთა ნახატების საერთაშორისო კონკურსებში. გვაქვს მნიშვნელოვანი წარმატებები: ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები, საპატიო დიპლომები და სერთიფიკატები.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანი: ხატვის განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებულ ყოველწლიურ კონკურსებში სკოლის ნორჩ მხატვართა წარდგინება, ქვეყნის მამულებით სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება, ბავშვებში ხელოვნებისადმი პროფესიული დამოკიდებულების განვითარება და უმაღლესი განათლების მიღებისათვის საფუძვლების ჩაყრა. საგაზაფხულო ნდა საშემოდგომო პლენერების გამართვა, საქართველოს ისტორიული ძეგლების მონახულების და დახატვის მიზნით შემეცნებითი ექსკურსიების მოწყობა. შედეგი 1: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხატვის პოპულიზაცია და მოსწავლეთა კონტიგენტის მნიშვნელოვანი გაზრდა გონივრულ რაოდენობამდე, მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებებში. შედეგი 2: მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ბავშვთა ნახატების კონკურსებში (ჩეხეთი, ბულგარეთი, აშშ, იაპონია და ა.შ) ყოველწლიურად მონაწილეობის მიღება და ნორჩ მხატვართა საერთაშორისო ასპარეზზე გაყვანა, საპრიზო ადგილების აღება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	არგვეთის კულტურის სახლი	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 03 09		75,4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ მედეა ჯაფარიძის სახელობის არგვეთის კულტურის სახლი		
ქვეპროგრამის აღწერა	კულტურის სახლში გაერთიანებულია სხვადასხვა სახის წრეები და სტუდიები: ქორეოგრაფიული ანსამბლი „ მუხრანელები“, მუსიკალური და ქორეოგრაფიული სტუდია, ფოლკლორული ანსამბლი „არგვეთი“, ქართულ ხალხურ საკრავთა ანსამბლი „ციცინათელა, ბავშვთა ქართული სიმღერების შემსწავლელი წრე „აისი“, ქართულ ხალხური ისტრუმენტებზე დაკვრის (ფანდური, ჩონგური, ბას ფანდური) შემსწავლელი წრე, წრეებში მონაწილეთა რაოდენობა შეადგენს 160, მათ შორის 95 ქალი, 65 კაცი.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანი: შემოქმედებითი პროცესებისა და ფოლკლორული ჯგუფების ხელშეწყობა; მივიწყებული ქართული ხალხური სიმღერების აღდგენა და შენარჩუნება, ლიტერატურული წარმოდგენების გამართვა; ახალგაზრდებში ეროვნული ფასეულობებისა და კულტურული მემკვიდრეობისადმი ინტერესის გაღვივება. შედეგი 1: კულტურულ შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ჩართულობა და ხელშეწყობა კულტურისა და სხვადასხვა შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ტურიზმისა და ახალგაზრდულ ღონისძიებათა პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	05 03		82,3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საჩხერის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ტურიზმისა და ახალგაზრდულ ღონისძიებათა პროგრამის განხორციელების ფარგლებში საჩხერის მუნიციპალიტეტში ტურიზმის, ასევე, ახალგაზრდული სერვისების განვითარების პროცესში ახალგაზრდების მეტი ჩართულობის მიზნით 2023 წელს დაგეგმილია სხვადასხვა ღონისძიებები , რომლებიც მორგებულია საჩხერელი ბავშვებისა და ახალგაზრდების ინტერესებზე, ასევე ემსახურება მუნიციპალიტეტში მცხოვრები 29 წლამდე თითოეული მოქალაქის განვითარება - გააქტიურებას. ტურიზმის მიმართულებით დაგეგმილია ადგილობრივი მეწარმეების ხელშეწყობა , ტურისტულად საინტერესო ადგილების მარკირება, საინფორმაციო ბუკლეტების დამზადება. დაგეგმილი ღონისძიებები: 1. საჩხერელი ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის შობა - ახალი წლის მილოცვა 2. კონკურსი ყველაზე ინოვაციურ ახალგაზრდულ პროექტზე, პროექტის მხარდაჭერა - დაფინანსება; 3. ახალგაზრდებისთვის ტრენინგ - სემინარის მოწყობა; 4. დეკლამატორთა მუნიციპალური და რეგიონული კონკურსები - „საჩხერე -პოეტების სავანე“; 5. ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებული საზეიმო ღონისძიება; 6. ფოტო -კონკურსი და გამოფენა ახალგაზრდა მოყვარულ ფოტო ხელოვანთა მონაწილეობით; 7. ენის დღისადმი მიძღვნილი კალიგრაფიის კონკურსი „ქართული ხელნაწერი“; 8. ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საზეიმო ღონისძიებების გამართვა; 9. თანამედროვე ქართველ მწერალთან და რეჟისორთან შეხვედრა; 10. საბავშვო ზღაპრების ფესტივალი „წითელქუდა“ 11. თეატრალური ფესტივალი „ელისაბედი“ 12. ეროვნული მნიშვნელობის დღეების აღნიშვნა; 13. ტურისტული ფესტივალის გამართვა 14. ტურისტულად მნიშვნელოვანი ატრაქციის მანიშნებელი აბრების დამზადება და სხვა.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანი: ახალგაზრდული პრიორიტეტების გამოკვეთა, მათი შესაძლებლობების სწორად გამოყენება, ზრუნვის გაძლიერება, მათი ინიციატივების წახალისება, ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის საზეიმო კონცერტების, სპექტაკლების, სხვა გასართობი ღონისძიებებში ჩართვა, არაფორმალური განათლების დანერგვა, მწერლობასთან და წიგნთან ახალგაზრდების დაახლოება, კულტურისა და ესთეტიკური გემოვნების განვითარება ,თეატრალური, ქორეოგრაფიული და ვოკალური ხელოვნებისადმი ინტერესის გაღვივება. ტურიზმის განვითარება ადგილობრივ დონეზე, ღვინის ტურიზმის, საოჯახო მეურნეობების ხელშეწყობა, ტურისტულ ატრაქციებზე სტანდარტების შესაბამისი აბრების დამზადება. შედეგი 1: წლის განმავლობაში განხორციელებული ღონისძიებებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობისა და ჩართულობის გაზრდა. შედეგი 2: მუნიციპალიტეტში მოქმედი საოჯახო მარნებისა და სასტუმროების რაოდენობის გაზრდა, მანიშნებელი აბრის დამზადება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	რელიგიის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 04		100,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „ჭიათურისა და საჩხერის ეპარქია“		
ქვეპროგრამის აღწერა	ჭიათურა-საჩხერის ეპარქიის განვითარების ფონდი, აერთიანებს, ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიაში არსებულ ეკლესია-მონასტრებს. სადაც, შაბათ-კვირას და სადღესასწაულო დღეებში იმართება წირვა-ლოცვა. ეპარქიაში არსებობს საეკლესიო სამსახურისთვის შექმნილი სკოლა, სადაც ისწავლება გალობა და მედავითნეობა. ამ ფონდის შემწეობით იმართება სხვადასხვა ქრისტიანული ღონისძიებები. ასევე იგეგმება წმიდა ნინოს სახელობის ტაძრის მიმდებარედ დამხმარე სათავსების მოწყობა.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანი: საეკლესიო მსახურების ხელშეწყობას, ეპარქიის სახელით, საეკლესიო ღონისძიებების ჩატარება. შედეგი 1: ქრისტიანული სარწმუნოების გაზრდა მოსახლეობაში.		

მუხლი 17. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1685,3 ათასი ლარი. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	დასახელება	2023 წლის გეგმა
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1,685.3
06 01	ჯანდაცვის პროგრამები	177.2
06 02	სოციალური პროგრამები	1,470.8
06 02 01	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	615.0
06 02 02	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის უზრუნველყოფა	62.5
06 02 02 01	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	35.0
06 02 02 02	საქართველოს ყრუთა კავშირის საჩხერის ფილიალის ხარჯების სუბსიდირება	27.5
06 02 03	ომისა და შრომის ვეტერანებზე და მათ ოჯახებზე ფულადი ფორმით გასაცემი დახმარებები	20.0
06 02 04	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	435.2
06 02 05	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	40.0



02 06 06	უფასო სასადილოს დაფინანსება	68.0
02 06 07	სარიტუალო ხარჯები	5.0
02 06 09	საჩხერე-პერევის და პერევი-საჩხერის საავტომობილო რეისების სუბსიდირება	30.1
02 06 10	სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარება	180.0
06 02 11	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	15.0
06 03	ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია	7.3
06 04	ინტეგრირებული დღის ცენტრი	30.0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ჯანდაცვის პროგრამები	დაფინანსება ათას ლარში
	06 01		177,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ საჩხერის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა	ეპიდზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამა: (იმუნიზაცია, გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა მართვა,პარაზიტოლოგიური დაავადებები,ანტირაბიული - ცოფის საწინააღმდეგო ღონისძიებები. C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა, COVID-19 –ის პანდემია და მისი მართვა.)პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისათვის ღონისძიებების გატარება ,დელეგირებული საზოგადოებრივი ჯან.დაცვის სახელმწიფო პროგრამების შესრულება. საზოგადოებრივი ჯან.დაცვის ინტეგრირებული პროგრამა ითვალისწინებს გადამდებ დაავადებათა გავრცელების პრევენციას,(ესენია: „C“ ჰეპატიტი ,შიდსი, ტუბერკულოზი,) აღნიშნული პროგრამა მრავალწლიანია , გამოკვლევები და მკურნალობა უფასოა ყველა მოქალაქისათვის. 2025 წლის წინასწარი პროგნოზით ინტეგრირებული კვლევა ჩაუტარდება მოსახლეობის 95%- ს. ყველა ვირუს დადასტურებულ პირის ბიოლოგიური მასალა (პლაზმა) გაიგზავნება კონფიდენციალური (დამატებით) კვლევისათვის ლუგარის ლაბორატორიაში. დაინფიცირებულ პირს ჩაუტარდება შესაბამისი მკურნალობა. ჯან.დაცვის პროგრამებში მუშაობა სისტემატურად აისახება ლოჯისტიკის ელ. მოდულში. ჩატარდება პარაზიტულ დაავადებათა გადამტანი მწერების (კოლო, ტკიპები, მოსკიტები)საწინააღმდეგო ღონისძიებები, ჩატარდება საბონიფიკაციო სამუშაოები(ჭაობების და წყალსატევების გაწმენდა, თევზი გამზუზიის გავრცელება), სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებებში დიდი ყურადღება დაეთმობა სანიტარულ - ჰიგიენური წესების დაცვას.(ხელსაბანები , გამდინარე ცივი და თბილი წყალი, კანალიზაციის, დეზინფექცია).		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანი: აცრებით მოცული იყოს 0-14 წლის ბავშვთა აბსოლუტური უმრავლესობა 98%; ბავშვთა ორგანიზებულ დაწესებულებებში(სკოლები, ბაღები) ჰიგიენის ნორმების დაცვა, წყალმომარაგებით და კანალიზაციით უზრუნველყოფა-140; ბავშვთა ორგანიზებულ დაწესებულებებში(სკოლები, ბაღები) ჰიგიენის ნორმებით დაცვა, წყალმომარაგებით და კანალიზაციით უზრუნველყოფა-900; ანტირაბიული ვაქცინისა და იმუნოგლობულინის შეუფერხებელი მიწოდება ამცრელ დაწესებულებაზე. შეტყობინების მიღებიდან მყისიერი რეაგირება, უკუკავშირი ვეტ სამსახურთან.(ცხოველებზე ვეტ .კონტროლი)-600; რაიონის მოსახლეობის 95% გამოკვლეული იყოს C ჰეპატიტის და შიდსის ვირუსზე; (ტემპერატურა, ხველა)პაციენტი, მოხდეს პოზიტივების დროული იზოლაცია, კონტაქტების მოძიება. პირველ წყაროს დადგენა. სტრატეგიული მიზანია პანდემიის დასრულება მსოფლიოში და ჩვენ სამშობლოში. საგანმანათლებლო შინაარსის შეხვედრები მოსახლეობასთან კოვიდ საწინააღმდეგო სახელმწიფო რეგულაციების შესახებ, კოვიდ ვაქცინაცია როგორც ვირუსისგან დაცვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება. შედეგი 1: იმუნიზაცია, აცრებით მოცვა; შედეგი 2: ინფექციურ დაავ.მართვა.(დიარეა, შიგელა,სალმონელა); შედეგი 3: ანტირაბიული (ცოფის საწინააღმდეგო ღონისძიებები) შედეგი 4: C ჰეპატიტის ელიმინაციის სახ.პროგრამა; შედეგი 5: COVID -19 პანდემია და მისი მართვა;		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 01		615,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ავადმყოფთა სოციალური დაცვის მუხლიდან გათვალისწინებულია დახმარება საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეებზე, რომელნიც საჭიროებენ დახმარებას, კერძოდ: ა) მოქალაქეს, რომელსაც ესაჭიროებათ გეგმიური და გადაუდებელი სტაციონარული-ქირურგიული ოპერაცია და სხვა სამედიცინო მომსახურება მიეცემა 2000 (ორი ათასი) ლარამდე ერთჯერადად, ხოლო მოქალაქეს, რომელიც რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში (100001-ზე ნაკლები ქულის მქონე პირი), შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის და ვეტერანის სტატუსის მქონე მოქალაქეს მიეცემა დახმარება ერთჯერადად არაუმეტეს 3000 ლარის ოდენობით. თანხა ირიცხება შესაბამისი დაწესებულებიდან მომსახურების საბუთის წარმოდგენის შემდგომ ამავე დაწესებულების ანგარიშზე. ბ) მოქალაქეები, რომლებსაც ესაჭიროებათ სხვადასხვა სახის კვლევა 500 (ხუთას) ლარამდე, ხოლო მოქალაქეს, რომელიც რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში (100001-ზე ნაკლები ქულის მქონე პირი), შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის და ვეტერანის სტატუსის მქონე მოქალაქეს არაუმეტეს 1000 (ათას) ლარამდე ოდენობით; თანხა ირიცხება შესაბამისი დაწესებულებიდან მომსახურების საბუთის წარმოდგენის შემდგომ ამავე დაწესებულების ანგარიშზე. გ) საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ, ეპილექსიით დაავადებულ მოქალაქეს (გარდა იმ პირისა, რომელიც დარეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და რომლის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100000), რომელიც მოიხმარს „ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში დაავადებათა ჩამონათვალისა და მედიკამენტების გაცემის წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 8 აგვისტოს №01-177/ო ბრძანებით განსაზღვრულ მედიკამენტებს, მიეცემა დახმარება ყოველთვიურად მედიკამენტების ღირებულების 50%-ის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 50 (ორმოცდაათი) ლარისა, ხოლო საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ეპილექსიით დაავადებულ მოქალაქეს, რომელიც მოიხმარს ზემოაღნიშნული მედიკამენტების გარდა სხვა მედიკამენტებს, მიეცემა დახმარება ყოველთვიურად 50 (ორმოცდაათი) ლარამდე თანხის ოდენობით. დ) მოქალაქეები, რომლებიც თირკმლის უკმარისობის გამო, გადიან დიალიზით მკურნალობის კურსს სხვადასხვა ქალაქში მიეცემა დახმარება ყოველთვიურად 100 (ასი) ლარის ოდენობით, ხოლო მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე მოქალაქეს 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. თანხა ირიცხება ბენეფიციარის პირად საბანკო ანგარიშის ნომერზე. ე) ონკოპათოლოგიური დაავადების (ლეიკემია) მქონე მოქალაქეები "არასრულწლოვან მოქალაქეს მიეცემა დახმარება ყოველთვიურად 200 (ორასი) ლარის ოდენობით, ხოლო სრულწლოვან მოქალაქეს მიეცემა დახმარება ყოველთვიურად 100 (ასი) ლარის ოდენობით.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანი: გადახდისუუნარო მოქალაქის მაქსიმალური მხარდაჭერა ჯანდაცვის სერვისზე წვდომის კუთხით და გრძელვადიან პერსპექტივაში გადახდისუუნარიანი მოქალაქის მიღება, რათა მან თვითონ შეძლოს აღნიშნული სერვისით სარგებლობა. შედეგი 1: პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა ოჯახის თანადგომა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 02 01		35,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
	საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე არასრულწლოვან მოქალაქეს მიეცემა დახმარება ერთჯერადად 200 (ორასი) ლარის ოდენობით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, რომელსაც ესაჭიროება		



ქვეპროგრამის აღწერა	ინდივიდუალური დამხმარე საშუალება და რომელიც არ ფინანსდება ან ნაწილობრივ ფინანსდება სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მიეცემა დახმარება ერთჯერადად, არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, სერვისის მიმწოდებელი დაწესებულების შესაბამის ანგარიშზე.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 5 -გენდერული თანასწორობა მიზანი 10 -შემცირებული უთანასწორობა	გენდერული	დიახ
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანი: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მაქსიმალური ინტეგრაცია საზოგადოებაში, წვდომა საზოგადოებრივ სერვისებზე და მათთვის ადაპტირებული გარემოს ხელმისაწვდომობა. შედეგი 1: პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა თანადგომა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საქართველოს ყრუთა კავშირის საჩხერის ფილიალის ხარჯების სუბსიდირება	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 02 02		27,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ საქართველოს ყრუთა კავშირის საჩხერის ფილიალი		
ქვეპროგრამის აღწერა	ბენეფიციარების ტრიგერების შეფასება, ქვევის მართვის პროგრამის დაგეგმვა, განხორციელება, ზედამხედველობა. ბენეფიციართა რეაბილიტაცია/აბილიტაცია. ბენეფიციართა ფსიქოლოგიური შეფასებები, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება და სოციალური ინტეგრაცია. სენსორული უნარების განვითარება, ფუნქციური უნარების განვითარება, ასევე მეტყველების, ფიზიკური და აკადემიური უნარების განვითარება. დღის ცენტრში ბავშვები სხვადასხვა აქტივობებით არიან დაკავებული, ერთ-ერთი ასეთი საქმიანობა არის სენსორული სათამაშოების დამზადება პედაგოგის დახმარებით, რაც ხელს უწყობს ბავშვებში სხვადასხვა შერჩევით და აღქმის განვითარებას.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანი: შშმ პირთა სოციალური ინკლუზიის და ცხოვრების ხარისხის გაზრდის ხელსეწყობა. 6-14წლამდე ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა; 14-18 წლამდე წინარე პროფესიული მომზადება (მაგ: საშედეგი 1: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებში სუციალური უნარ-ჩვევების გაუმჯობესება. შედეგი 2: ბენეფიციარების უმრავლესობის დღის ცენტრის პარალელურად საჯარო სკოლაში სიარული. შედეგი 3: 14-18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარების პროფესიულიუნარ-ჩვევების გაზრდა.მზარეულოს აქტივობა და სხვა).		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ომისა და შრომის ვეტერანებზე და მათ ოჯახებზე ფულადი ფორმით გასაცემი დახმარებები	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 03		20,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ომის მონაწილე ვეტერანს, რომელიც ასევე არის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მიეცემა დახმარება ერთჯერადად 200 (ორასი) ლარის ოდენობით.		



ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანი: ომის მონაწილე ვეტერანთა მხარდაჭერა. შედეგი 1: პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა თანადგომა.
---	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 04		435,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეს, რომელსაც შეეძინება მეოთხე ან/და მეხუთე შვილი (0-18 წლის ჩათვლით) მიეცემა დახმარება ერთჯერადად 300 (სამასი) ლარის ოდენობით, ხოლო მეექვსე და მეტი შვილის შეძენის შემთხვევაში (0-18 წლის ჩათვლით), 1000 (ათასი) ლარის ოდენობით. 2.საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ხანდაზმულს (100 წელი და ზევით) მიეცემა დახმარება ერთჯერადად 1000 (ათასი) ლარის ოდენობით. 3.აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის საფასურის თანადაფინანსება 700 (შვიდასი) ლარამდე ოდენობით, ერთჯერადად გაეწევათ: დედით ან მამით ობოლ, მარტოხელ მშობლის სტატუსის მქონე, მრავალშვილიან ოჯახში მცხოვრებ (4 და მეტი შვილი, 20 წლის ჩათვლით), სოციალურად დაუცველ ოჯახში მცხოვრებ (რომელთაც აქვთ მინიჭებული 100000 ჩათვლით სარეიტინგო ქულა), საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული მშობლის და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მშობლის სტუდენტებს, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სტუდენტს – 1000 (ათასი) ლარამდე ოდენობით. 4.. საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და მუდმივად მცხოვრებ ოჯახს, რომელიც ცხოვრობს სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველ მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებში, იმყოფება სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში (100001 ნაკლები ქულის მქონე ოჯახი), არ აქვს ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი და საკუთარი სახსრებით ეწევა საცხოვრებელი სახლის აღდგენა-გამაგრებით სამუშაოებს, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით მიეცემა დახმარება ერთჯერადად არაუმეტეს 5000 (ხუთი ათასი) ლარამდე თანხის ოდენობით. ოჯახის საცხოვრებელი მდგომარეობის შესახებ დასკვნას ადგენს ამ მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. 5. საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეს განსაკუთრებულ შემთხვევაში, სამუშაო ჯგუფის დასკვნის საფუძველზე შესაძლებელია მიეცეს დახმარება ერთჯერადად, არაუმეტეს 5000 (ხუთი ათასი) ლარამდე ოდენობით. 6.ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის მონაწილეზე, რომელიც რეგისტრირებულია საჩხერის სოციალური მომსახურების სააგენტოში გაიცემა დახმარება ერთჯერადად 200 (ორასი) ლარის ოდენობით. ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია მოწმდება საჩხერის სოციალური მომსახურების სააგენტოში.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 1 -სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა მიზანი 5 -გენდერული თანასწორობა	გენდერული	დიახ
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანი: ბენეფიციარების მაქსიმალური მხარდაჭერა საზოგადოებაში სრულყოფილი ინტეგრაციის კუთხით. შედეგი 1: პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა თანადგომა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 05		40,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		



ქვეპროგრამის აღწერა	საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დედიტ ან მამით ობოლ არასრულწლოვან მოქალაქეს მიეცემა დახმარება ერთჯერადად 200 (ორასი) ლარის ოდენობით. საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე მოქალაქეს მიეცემა დახმარება ერთჯერადად 200 (ორასი) ლარის ოდენობით.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 1 -სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა	გენდერული	დიახ
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანი: აღნიშნული კატეგორიის მქონე პირთა მაქსიმალური მხარდაჭერა სანამ მოქალაქე არ გახდება სრულწლოვანი. შედეგი 1: მარჩენალდაკარგული ოჯახების და მარტოხელა დედების/მამების დახმარება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	უფასო სასადილოს დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 06		68,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სოციალურად შეჭირვებულ მოქალაქეს „უფასო სადილით“ უზრუნველყოფის მიზნით გაეწევა დახმარება და დღეში ერთხელ მიეცემა უფასო სადილი (მენიუს შესაბამისად). დაგეგმილია უფასო სასადილოს შენობის რემონტი.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 2 -წულოვანი შიმშილი მიზანი 5 -გენდერული თანასწორობა	გენდერული	დიახ
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანი: სოციალურად შეჭირვებული მოქალაქეების მაქსიმალური მხარდაჭერა. შედეგი 1: პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა თანადგომა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სარიტუალო ხარჯები	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 07		5,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ანაზღაურდება შემდეგი სახის სარიტუალო მომსახურება 250 ლარის ოდენობით: ა) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ ვეტერანთა სარიტუალო მომსახურება; ბ) სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე მებრძოლ ვეტერანთა სარიტუალო მომსახურება; გ) მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ვეტერანთა სარიტუალო მომსახურება. 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ანაზღაურდება უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. თანხის მიღებაზე და განკარგვაზე პასუხისმგებელი პირია შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში საჩხერის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ან/და მაჟორიტარი დეპუტატი.		
ქვეპროგრამის მიზანი და	ქვეპროგრამის მიზანი: პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების მაქსიმალური მხარდაჭერა.		



მოსალოდნელი შედეგი	შედეგი 1: პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა ოჯახის თანადგომა		
--------------------	---	--	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საჩხერე-პერევის და პერევი-საჩხერის საავტობუსო რეისების სუბსიდირება	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 09		30,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „ზურმუხტი“		
ქვეპროგრამის აღწერა	საჩხერის მუნიციპალიტეტის საზღვრისპირა სოფლების მოსახლეობის საჩხერე-პერევი, პერევი-საჩხერის მიმართულებით ხორციელდება სოფლების პერევის და ქარმანის მცხოვრები მოქალაქეებისათვის უფასო ტრანსპორტით მომსახურება. პერევის მიმართულებით ემსახურება 2 მძღოლი ავტობუსი პაზ 4234-00 კვირაში 4 რეისი. სოფელ ქარმანის მიმართულებით ემსახურება 1 მძღოლი მიკრო ავტობუსით კვირაში 3 რეისი.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანი: საზღვრისპირა სოფლების მოსახლეობის მოქალაქეებისათვის უფასო ტრანსპორტით მომსახურება. შედეგი 1: წლის განმავლობაში შენარჩუნდება საზღვრისპირა სოფლების მოსახლეობის უფასოდ ტრანსპორტით მომსახურება;		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარება	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 10		180,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეს, რომელსაც სტიქიური უბედურების/ხანძრის შედეგად დაეწვა საცხოვრებელი სახლი, მიეცემა დახმარება 6000 (ექვსი ათასი) ლარამდე ოდენობით;		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანი: ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების მაქსიმალური მხარდაჭერა საცხოვრისის აღსადგენად; შედეგი 1: პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 11		15,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეს, რომელსაც არ აქვს თავშესაფარი, საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით, ბინის დაქირავებისთვის. მიეცემა დახმარება ყოველთვიურად 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.		



გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 1 -სიღარიბის აღმოფხვრა მიზანი 5 -გენდერული თანასწორობა	გენდერული	დიახ
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანი: საცხოვრისის არ მქონე მოქალაქის მხარდაჭერა იმ მიზნით, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში ამ პროგრამითა და სხვა პროგრამის ჩართულობით შევუქმნათ საცხოვრებელი სივრცე. შედეგი 1: თავშესაფრის გარეშე დარჩენილი ოჯახების ბინით უზრუნველყოფა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	06 03		7,3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფელ ცხამში ამბულატორიის შენობის შემოღობვითი სამუშაოები.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანი: დაცული სამედიცინო ცენტრი შედეგი 1 : კმაყოფილი მოსახლეობა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ინტეგრირებული დღის ცენტრი	დაფინანსება ათას ლარში
	06 04		30,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა)იპ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება		
	საქართველო რადიკალური და სწრაფი ცვლილებების აუცილებლობის წინაშე დგას, რადგან სპონტანურად და არათანმიმდევრულად განხორციელებულმა რეფორმებმა ქვეყანაში ვითარება საგრძნობლად გააუმჯობესა, მაგრამ სასურველი შედეგი ვერ მოგვცა, განსაკუთრებით, უმუშევრობისა და სიღარიბის დონის შემცირების კუთხით. დღემდე არსებულ სტრატეგიულ და საპროგრამო დოკუმენტებში გაცხადებული მიზნები, რომლებიც სიღარიბისა და უმუშევრობის მნიშვნელოვან შემცირებას უკავშირდებოდა, კვლავ მიუღწეველია. ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე უარყოფითად მოქმედებს ასევე გახშირებული სტიქიური უბედურებები თუ სხვადასხვა სახის დაავადებათა გავრცელების საფრთხე, რაც მოსახლეობას, განსაკუთრებით კი მოწყვლად ჯგუფებს, დიდი რისკის წინაშე აყენებს. საქართველოში ამ მიმართულებითაც არაერთი რეფორმა განხორციელდა და შესაბამისი ნაბიჯები გადაიდგა, თუმცა სრულყოფილი და სტაბილური სისტემის შექმნა მოითხოვს გრძელვადიან განვითარებას. გასათვალისწინებელია, რომ არაერთი გამოწვევის წინაშე მდგომი მოსახლეობის დღის წესრიგი გულისხმობს მოქალაქეების საყოველთაო ჩართულობასა და უშუალოდ თემის წევრების აქტიურ მონაწილეობას განვითარების პროცესში. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება, როგორც ჰუმანიტარულ სფეროში მთავრობის დამხმარე ორგანიზაცია (საქართველოს კანონი „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების შესახებ“ 15/07/2017), ემსახურება განსაცდელში ჩავარდნილი ადამიანების ხვედრის შემსუბუქებას, მათი სიცოცხლისა და ღირსების დაცვას თითქმის ერთი საუკუნეა. აღსანიშნავია, რომ დღეისათვის საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება წარმოადგენს ერთადერთ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელსაც ქვეყნის სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის (საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის #508 დადგენილება) შესაბამისად შემდეგი ფუნქციები აქვს: მონაწილეობს სამეგრეო და სამაშველო საქმიანობებში; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს კოორდინირებით		

ორგანიზებას უწევს საგანგებო სიტუაციის შედეგების აღმოფხვრაში ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობებს; არის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დამხმარე რგოლი დაზარალებული მოსახლეობისათვის პირველი დახმარების უზრუნველყოფაში და სავსე პოსპიტალის მოწყობაში; ასევე ეხმარება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაზარალებული მოსახლეობისათვის წყლისა და საკვების მიწოდებაში საგანგებო სიტუაციის დროს.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მნიშვნელოვან პრიორიტეტებს წარმოადგენს:

კატასტროფების მართვა (რისკის შემცირება, მზადება და რეაგირება), რაც გულისხმობს თემის მოწყვლადობისა და შესაძლებლობების შეფასებას, ცოდნის ამაღლებას კატასტროფების შესახებ თემში მათი შესაძლებლობების გაზრდისა და თემის ეფექტური მოქმედებისათვის საგანგებო/კრიზისული სიტუაციის დროს; რეაგირების გუნდების შექმნას (მათ შორის პირველი დახმარების და ფსიქოსოციალური დახმარების გუნდები), წვრთნას/წავალებას, აღჭურვასა და ეკიპირებას; სიმულაციური ვარჯიშების მოწყობას და რეაგირების მექანიზმში ჩართულ ყველა დაინტერესებულ მხარესთან თანამშრომლობის გაუმჯობესებას; მუნიციპალიტეტების რეაგირებისა და ევაკუაციის გეგმების (მათ შორის საოჯახო გეგმის) შემუშავებაში/განახლებაში აქტიურ მონაწილეობას.

ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, რაც ითვალისწინებს მოხილვით პირველადი ჯანდაცვის კაბინეტების მეშვეობით უფასო სამედიცინო-დიაგნოსტიკურ კვლევებსა (მუცლის ღრუსა და სხვა შინაგანი ორგანოების ექსკოპირება უახლესი აპარატურით, კარდიოლოგიური, გინეკოლოგიური და ოფთალმოლოგიური გამოკვლევა, სისხლში შაქრის შემცველობის დონის განსაზღვრა, ფარისებრი ჯირკვლის რადიოლოგიური კვლევა) და ექიმი-თერაპევტის, გინეკოლოგისა თუ ოფთალმოლოგის კონსულტაციას მოწყვლადი ჯგუფებისთვის, განსაკუთრებით ქალაქებიდან მოშორებით მდებარე სოფლებსა და თემებში.

სოციალური მხარდაჭერა, რომლის ფარგლებში საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში „ინტეგრირებულ საქმიანობათა დღის ცენტრის“ ბაზაზე არის შექმნილი სხვადასხვა საქმიანობათა ჯგუფები და ხორციელდება ბენეფიციართა, მათ შორის საომარი კონფლიქტების შედეგად უგზო-უკვლოდ გაუჩინარებულ პირთა ოჯახის წევრების უნარ-ჩვევების განვითარება (თემატური ტრენინგები, სემინარები, სასწავლო სესიები და ა.შ.), სერვისების მიწოდება (ბინაზე ვიზიტები, შინმოვლა, საოჯახო საქმიანობები დახმარება, რეცხვა და ა.შ.) და ადვოკატირება (სამუშაო შეხვედრები და ინტერესებულ პირთა მონაწილეობით, კონსულტაცია და ინფორმირება). ბენეფიციარებს შესაძლებლობა ეძლევათ ღირსეულ გარემოში დაგეგმონ და აქტიური მონაწილეობა მიიღონ ზემოაღნიშნული ცენტრის ყოველდღიურ საქმიანობაში, სხვადასხვა სოციალურ ღონისძიებაში, რაც ხელს უწყობს მათი ყოფის შემსუბუქებას, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და თაობათაშორის ურთიერთობების გაუმჯობესებას.

ახალგაზრდული და მოხალისეობრივი მოძრაობის განვითარება, რომელიც მიზნად ისახავს მოხალისეობრივი ინსტიტუტის პოპულარიზებასა და გაძლიერებას, მოსახლეობის ჩართვას სხვადასხვა მოხალისეობრივ აქტივობებში, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს თითოეული ინდივიდის პიროვნულ ზრდას (ტრენინგების/სემინარების/სასწავლო სესიების/პრაქტიკული სავარჯიშოების და ა.შ. საშუალებით) სხვადასხვა მიმართულებით, მათში ჰუმანიტარული ღირებულებების ჩამოყალიბებას, სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლებას, მათ მოხილვებას და აქტიურ მონაწილეობას მოწყვლადი ჯგუფების დახმარებაში, როგორც სასოფლო, ასევე საქალაქო თემებში. ახალგაზრდებს ეძლევათ არაფორმალური განათლების და სხვადასხვა ცხოვრებისული უნარ-ჩვევების განვითარების საშუალება, რაც ხელს უწყობს მათ თვითრეალიზებას და უშუალო მონაწილეობას თემის, მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის განვითარებაში. ახალგაზრდებისთვის ასევე ხელმისაწვდომი ხდება ჩაერთონ თანასწორობა განათლების პროცესში და დაეხმარონ თანატოლებს გახდენენ უფრო მოტივირებულები, აქტიურები და გაიმჯობესონ მათთვის საჭირო შესაბამისი უნარ-ჩვევები. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას აქვს როგორც თემებში მოწყვლადი ჯგუფების (სკოლამდელი ასაკის ბავშვები და მოზარდები, ხანდაზმულები, ასევე იძულებით გადაადგილებული, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი პირები, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები და საომარი კონფლიქტების შედეგად უგზო-უკვლოდ გაუჩინარებულ პირთა ოჯახის წევრები) წინაშე არსებულ გამოწვევებზე მყისიერი რეაგირების, ასევე პრევენციული ღონისძიებების განხორციელებისა და რისკების შემცირების მრავალწლიანი გამოცდილება, ცოდნა და პოტენციალი. იგი ხელს უწყობს უსაფრთხო ადგილობრივი თემების განვითარებას საერთაშორისო თუ ადგილობრივ დონეზე პარტნიორთა მოხილვებით და **თთვ** (თემის თანამონაწილეობით განვითარება) მიდგომის გამოყენებით, რომლის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ის ყველა დაინტერესებულ მხარეს თემის საჭიროებებზე რეაგირების პროცესში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობას აძლევს, განსაკუთრებით ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებსა და თვით თემის წევრებს, რაც შემდგომში არის ამ პროცესის მდგრადობის წინაპირობა. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება და მისი ფილიალი **საჩხერეში** თავისი პრიორიტეტებიდან და განსაზღვრული მანდატიდან გამომდინარე ცდილობს წვლილი შეიტანოს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში ადგილობრივ ხელისუფლებასთან მჭიდრო თანამშრომლობით, რისთვისაც ის თავის რესურსსა და გამოცდილებას იყენებს მოსახლეობის კეთილდღეობისა და ღირსეული გარემოს შექმნისათვის. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების **საჩხერის** ფილიალი მრავალი წელია აქტიურად ახორციელებს მოწყვლადი ჯგუფების სოციალურ მხარდაჭერასა და კატასტროფების რისკის შემცირების შესაძლებლობების გაზრდაზე ორიენტირებულ საქმიანობებს. იგი ასევე მუშაობს ახალგაზრდების გაძლიერების და მოხალისეთა ინიციატივების განვითარების მიმართულებით, კვალიფიციურ მოხალისეთა ქსელის საშუალებით აწვდის სხვადასხვა სახის სერვისებს დაუცველ ჯგუფებს და აქტიურად და

ქვეროგრამის აღწერა



